

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

iii-v

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

6

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

7

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

8

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

10-31

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-13 განმარტებით შენიშვნაზე სადაც საუბარია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია არ არის შესაბამოსბაში ბანკისგან დადგენილ კოვენანტებთან, თუმცა ბანკს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯერ არ აუმოქმედებია შესაბამისი სანქციები რაც აღნიშნული პირობის დარღვევას შეიძლება, რომ მოჰყვეს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-13 განმარტებითი შენიშვნაში, კომპანიის სესხების დიდი ნაწილი უნდა დაიფაროს ახლო მომავალში. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით აღნიშნული სესხების დაფარვას გეგმავენ რეფინანსირების მეშვეობით, რაც გულისხმობს ახალი ბონდების გამოშვებას ან დამატებითი სესხის მოძიებას. მოცემული გეგმის წარმატებით განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასესხო ვალდებულებების დასაფარად. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას დამფუძნებლებსა და მენეჯმენტს****მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის შემდეგ ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

გვინდა თქვენი ყურადღება გაგამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-13 განმარტებით შენიშვნაზე სადაც საუბარია, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია არ არის შესაბამისობაში ბანკისგან დადგენილ კოვენანტებთან, თუმცა ბანკს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის ჯერ არ აუმოქმედებია შესაბამისი საჩქივები რაც აღნიშნული პირობის დარღვევას შეიძლება, რომ მოჰყვეს. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-13 განმარტებითი შენიშვნაში, კომპანიის სესხების დიდი ნაწილი უნდა დაიფაროს ახლო მომავალში. კომპანიის მენეჯმენტის განმარტებით აღნიშნული სესხების დაფარვას გეგმავენ რეფინანსირების მეშვეობით, რაც გულისხმობს ახალი ბონდების გამოშვებას ან დამატებითი სესხის მოძიებას. მოცემული გეგმის წარმატებით განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასესხო ვალდებულებების დასაფარად. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული აღნიშნული გარემოების გამო.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ასახულია 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც ასახულია 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, რომელიც მოვიპოვეთ აუდიტორის დასკვნის თარიღამდე.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 თებერვალი 2025

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

SARAS-F-279563

გარიგების პარტნიორი

ალი მურტუა

SARAS-A-577214

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

კომპანიის მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

28 თებერვალი 2025

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

SARAS-F-279563

გარიგების პარტნიორი

ალი მურტუზა

SARAS-A-577214

RSM Georgia



შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	58,845,854	60,065,049
აქტივის გამოყენების უფლება	7	581,533	594,846
სულ გრძელვადიანი აქტივები		59,427,387	60,659,895
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	445,755	438,069
გადახდილი ავანსები	9	85,728	550,707
გაცემული სესხები		5,474	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	843,190	1,282,267
საგადასახადო აქტივები, ნეტო		71,648	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	328,497	536,814
სულ მიმდინარე აქტივები		1,780,292	2,807,857
სულ აქტივები		61,207,679	63,467,752
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	12	89,691	89,691
დაგროვილი მოგება		2,832,844	5,821,117
სულ საკუთარი კაპიტალი		2,922,535	5,910,808
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	647,578	648,238
მიღებული სესხები	13	27,984,706	54,674,143
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,632,284	55,322,381
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	14	134,215	123,626
საიჯარო ვალდებულებები	7	660	593
საგადასახადო ვალდებულებები		-	20,993
მიღებული სესხები	13	29,517,985	2,089,351
სულ მიმდინარე ვალდებულებები		29,652,860	2,234,563
სულ ვალდებულებები		58,285,144	57,556,944
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		61,207,679	63,467,752

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

გიორგი შუკაკიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	58,845,854	60,065,049
აქტივის გამოყენების უფლება	7	581,533	594,846
სულ გრძელვადიანი აქტივები		59,427,387	60,659,895
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	445,755	438,069
გადახდილი ავანსები	9	85,728	550,707
გაცემული სესხები		5,474	-
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	10	843,190	1,282,267
საგადასახადო აქტივები, ნეტო		71,648	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	328,497	536,814
სულ მიმდინარე აქტივები		1,780,292	2,807,857
სულ აქტივები		61,207,679	63,467,752
საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	12	89,691	89,691
დაგროვილი მოგება		2,832,844	5,821,117
სულ საკუთარი კაპიტალი		2,922,535	5,910,808
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	7	647,578	648,238
მიღებული სესხები	13	27,984,706	54,674,143
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		28,632,284	55,322,381
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	14	134,215	123,626
საიჯარო ვალდებულებები	7	660	593
საგადასახადო ვალდებულებები		-	20,993
მიღებული სესხები	13	29,517,985	2,089,351
სულ მიმდინარე ვალდებულებები		29,652,860	2,234,563
სულ ვალდებულებები		58,285,144	57,556,944
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		61,207,679	63,467,752

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

გიორგი შუკაკიძე

ფინანსური მენეჯერი

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი



შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 (ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	15	10,994,346	11,694,309
თვითღირებულება	16	(3,038,803)	(2,745,947)
საერთო მოგება		7,955,543	8,948,362
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,567,033)	(2,743,419)
საპროცენტო ხარჯები	13	(4,743,578)	(5,209,332)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	18	(2,000,535)	290,521
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	(137,228)	43,735
მოგება გადასახადამდე		(1,492,831)	1,329,867
მოგების გადასახადის ხარჯი	23	(201,428)	(149,756)
წლის წმინდა მოგება		(1,694,259)	1,180,111
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(1,694,259)	1,180,111

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

გიორგი შუკაკიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 (ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	15	10,994,346	11,694,309
თვითღირებულება	16	(3,038,803)	(2,745,947)
საერთო მოგება		7,955,543	8,948,362
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(2,567,033)	(2,743,419)
საპროცენტო ხარჯები	13	(4,743,578)	(5,209,332)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	18	(2,000,535)	290,521
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	19	(137,228)	43,735
მოგება გადასახადამდე		(1,492,831)	1,329,867
მოგების გადასახადის ხარჯი	23	(201,428)	(149,756)
წლის წმინდა მოგება		(1,694,259)	1,180,111
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(1,694,259)	1,180,111

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

გიორგი შუკაკიძე



ფინანსური მენეჯერი

ზ. აბუბაძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი



შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	89,691	5,489,623	5,579,314
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,180,111	1,180,111
გადახდილი დივიდენდი	-	(848,617)	(848,617)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	89,691	5,821,117	5,910,808
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,694,259)	(1,694,259)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,294,014)	(1,294,014)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	89,691	2,832,844	2,922,535

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

გიორგი შუკაკიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	89,691	5,489,623	5,579,314
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,180,111	1,180,111
გადახდილი დივიდენდი	-	(848,617)	(848,617)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	89,691	5,821,117	5,910,808
სულ წლის სრული შემოსავალი	-	(1,694,259)	(1,694,259)
გადახდილი დივიდენდი	-	(1,294,014)	(1,294,014)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	89,691	2,832,844	2,922,535

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

გიორგი შუკაკიძე



ფინანსური მენეჯერი

ზ. აბუთიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი



შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის წმინდა მოგება		(1,492,831)	1,329,867
კორექტირებები:			
ცვეთა	6,7	1,733,979	1,700,033
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	18	2,000,535	(290,521)
საპროცენტო ხარჯი	13	4,743,578	5,209,332
საპროცენტო შემოსავალი		(12,074)	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	401
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		416,653	(582,373)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		464,979	(516,403)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(7,686)	(431,030)
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		(469,311)	(32,134)
საგადასახადო აქტივების (ზრდა)/შემცირება		(92,641)	634,519
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		7,285,181	7,021,691
გადახდილი პროცენტი	13	(3,942,055)	(5,116,613)
მიღებული პროცენტი		11,600	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(201,428)	(149,756)
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		3,153,298	1,755,322
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(521,995)	(12,845)
სესხის გაცემა		(5,000)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6	20,524	56,001
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	6	-	(301,943)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(506,471)	(258,787)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	13	4,640,019	22,813,856
გადახდილი დივიდენდი	12	(1,294,014)	(848,617)
სესხების დაფარვა	13	(6,159,024)	(22,952,847)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	7	(77,294)	(77,294)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,890,313)	(1,064,902)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(243,486)	431,633
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		536,814	91,287
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	18	35,169	13,894
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		328,497	536,814

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

გიორგი შუკაკიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის წმინდა მოგება		(1,492,831)	1,329,867
კორექტირებები:			
ცვეთა	6,7	1,733,979	1,700,033
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება	18	2,000,535	(290,521)
საპროცენტო ხარჯი	13	4,743,578	5,209,332
საპროცენტო შემოსავალი		(12,074)	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	6	-	401
საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება:			
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		416,653	(582,373)
გადახდილი ავანსების (ზრდა)/შემცირება		464,979	(516,403)
მარაგების (ზრდა)/შემცირება		(7,686)	(431,030)
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანების ზრდა/(შემცირება)		(469,311)	(32,134)
საგადასახადო აქტივების (ზრდა)/შემცირება		(92,641)	634,519
სულ ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		7,285,181	7,021,691
გადახდილი პროცენტი	13	(3,942,055)	(5,116,613)
მიღებული პროცენტი		11,600	-
გადახდილი მოგების გადასახადი		(201,428)	(149,756)
საოპერაციო საქმიანობაში გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები		3,153,298	1,755,322
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(521,995)	(12,845)
სესხის გაცემა		(5,000)	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	6	20,524	56,001
კაპიტალური დანახარჯები ძირითად საშუალებებზე	6	-	(301,943)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(506,471)	(258,787)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	13	4,640,019	22,813,856
გადახდილი დივიდენდი	12	(1,294,014)	(848,617)
სესხების დაფარვა	13	(6,159,024)	(22,952,847)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	7	(77,294)	(77,294)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,890,313)	(1,064,902)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(243,486)	431,633
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		536,814	91,287
წმინდა საკურსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	18	35,169	13,894
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		328,497	536,814

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 28 თებერვალს:

დირექტორი

გიორგი შუკაკიძე



ფინანსური მენეჯერი

ზ. აბუთიძე

ბექა აბუთიძე

თბილისი, საქართველო

2025 წლის 28 თებერვალი



1 ძირითადი საქმიანობა

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (404485188). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 70, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი" 17 სართული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიის გამომუშავება და რეალიზაცია საქართველოში. 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რის შემდეგაც 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების, „საშულა ჰესი 1“ და „საშულა ჰესი 2“-ის, აშენების უფლება, საქართველოს მთავრობის მიერ 49 წლიანი აღნაგობით გადაცემულ მიწებზე. აღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობა არის ის, რომ 49 წლის შემდეგ მიწა და მასზე არსებული ნებისმიერი ნაგებობა უბრუნდება სახელმწიფოს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები შევიდა ექსპლუატაციაში და დაიწყო ელექტროენერგიის გამომუშავება.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან დამატებით გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა მესამე ჰიდროელექტროსადგურის, „საშულა ჰესი“-ის მშენებლობის უფლება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „საშულა ჰესი“ შევიდა ექსპლუატაციაში და დაიწყო ელექტროენერგიის გამომუშავება.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

2024 წლის 17 ოქტომბერს კომპანიის მფლობელი გახდა შპს გრინ ენერჯი ჰოლდინგი (405734022), რომლის აქციონერთა სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მინდია საბანაძე - 95%;

გიორგი შუკაკიძე - 3%;

დავით ხაჩიძე - 2%;

კომპანიის წილები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს გრინ ენერჯი ჰოლდინგი	100%	95%
მინდია საბანაძე	0%	95%
მიხეილ გაბისიანი	0%	3%
დავით ხაჩიძე	0%	2%
სულ	100%	100%

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო 41 თანამშრომელი (2023: 39 თანამშრომელი)

კომპანიამ 2022 წლის 5 სექტემბერს დააფუძნა შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუპი“, რომლის ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს ელექტროენერგიით ვაჭრობა. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შპს „ენერჯი თრეიდინგ გრუპს“ არ განუხორციელებია ეკონომიკური საქმიანობა. შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ აღნიშნულ საწარმოში ფლობს 55%-იან წილს.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ განუხორციელებია ინვესტიციები შვილობილ საწარმოში.

2 სააღრიცხვო პრინციპები და მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის რეალურ ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგებების განმარტებით შენიშვნებს. შემოსავალი და ხარჯები სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გარდა, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ოპერაციები კომპანიის მფლობელებთან აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია წარმოადგენს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. კომპანიას მიაჩნია, რომ ეს მეთოდი უფრო სასარგებლო ინფორმაციას აძლევს ფინანსური ანგარიშგების მკითხველებს, რადგან ის უკეთ ასახავს ბიზნეს ოპერაციებს.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებების გაქვითვა ხდება და წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ანაზღაურების კანონიერად აღსასრულებელი უფლება და არსებობს სურვილი აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. მცირე რემონტისა და ტექნიკური ხარჯები ირიცხება წარმოებისას. ძირითადი ნაწილების ან კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება კაპიტალიზდება ან შეცვლილი ნაწილი ამოღებულია.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებები ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საშუალა ჰესი 2	40 წელი
საშუალა ჰესი 1	40 წელი
საშუალა ჰესი	40 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა	10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არა ცვეთადი

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ნარჩენი ღირებულება გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნეტო საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის,

ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიმართულია ელექტროენერგიის დისტრიბუციიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისკენ. ეს არის კომპანიის მთავარი მიზანი და ყოველდღიური საქმიანობა. წარსულში კომპანიას არასდროს გაუყიდა თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანიის წარსულში მიღებული გამოცდილებისა და ამჟამინდელი მიზნების მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და კლასიფიცირებულია პირველ ბიზნესმოდელში – ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად (H2C).

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა (სავალო ინსტრუმენტები) ყველაზე რელევანტურია კომპანიისთვის. ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე-11 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე-10 შენიშვნა).

სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით.

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარება აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის მოვლენით განპირობებული საკრედიტო

ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ბანკში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთებისა და გაცემული სესხებისთვის.

კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, რომელიც იყენებს სიცოცხლის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. ისეთი სახის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლისგანაც სრულად არ არის მოსალოდნელი ფულადი ნაკადები კომპანიის მიერ დარეზერვებულია 100%-ით.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს და ზარალის ოდენობა განსაზღვრულია. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით:

ა. ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალი ფულადი შემოსულობების (გადახდების) მიმდინარე ღირებულება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

ბ. პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავლები) უდრის ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულებას პერიოდის დასაწყისში, გამრავლებული პერიოდის ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე.

ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (მე-13 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს (მე-14 შენიშვნა), საგადასახადო ვალდებულებებსა და ვალდებულებებს თანამშრომლების მიმართ (მე-19 შენიშვნა).

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ, სესხებისა და ნასესხები სახსრების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის

განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ან გაუქმება ან მოქმედების ვადა დასრულდება. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად – არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 28-ე შენიშვნაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულს გზაში, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

წინასწარი გადახდები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები

ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არ იქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მიღებულ სესხებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც ხარჯი იქნა გაწეული.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელდება, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული

კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

შემოსავლის აღიარება

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
2. შესრულების ვალდებულებების განსაზღვრა;
3. გარიგების ფასის განსაზღვრა;
4. გარიგების ფასის განაწილება შესრულების ვალდებულებებზე;
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც შესრულების ვალდებულება(ებ)ი დაკმაყოფილებულია.

შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც კომპანია ასრულებს ვალდებულებებს კლიენტებისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით. აქტივის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს ამ აქტივზე. აქტივის კონტროლი გულისხმობს აქტივის გამოყენებას და არსებითად ყველა დარჩენილი სარგებლის მიღებას.

შემოსავალი ელექტროენერგიის გაყიდვიდან

კომპანია შემოსავალს იღებს ელექტროენერგიის წარმოებისა და რეალიზაციის შედეგად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. შემოსავლის აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე, რომელიც განისაზღვრება საქართველოს მაღალი ძაბვის ელექტროქსელის ოპერატორის - საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მიერ გაცემული ელექტროენერგიის მიღება-ჩაბარების აქტით.

საოპერაციო ხარჯები

ხარჯები აღიარებულია შემოსავლის ანგარიშგებაში, თუკი წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური მოგების შემცირება, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

ხარჯები დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯები აღარ იწვევს მომავალ ეკონომიკურ მოგებას, ან თუ მომავალი ეკონომიკური მოგება არ აკმაყოფილებს ან აღარ აკმაყოფილებს აქტივის ბალანსში აღიარების მოთხოვნებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

(ა) თანამშრომელთა ხელფასები და სხვა შეღავათები – დარიცხული ხელფასი, პრემიები და სხვა სარგებელი(დაზღვევა) ერიცხება იმავე საანგარიშო პერიოდში, როდესაც სრულდება შესაბამისი მომსახურება.

(ბ) იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით,

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ანგარიშგების თარიღისთვის გაცვლითი კურსის გამოყენებით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

გაცვლითი კურსები წარმოდგენილია ქვემოთ:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი	
	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2024	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023	2.6894	2.9753
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2024	2.7227	2.9455
საშუალო გაცვლითი კურსი 31 დეკემბერი 2023	2.6287	2.8436

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადს კომპანია ადგენს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება, ხოლო რეინვესტირებული მოგება არ ექვემდებარება მოგების გადასახადს (გარდა სსკ-ის 981-ე და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა. საქართველო). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

საგადასახადო სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა საგადასახადო აქტივებს/ვალდებულებებსა და საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად, აღარ წარმოიქმნება გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აქტივები და ვალდებულებები.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს საგადასახადო ორგანოებს, როდესაც საქონელი და მომსახურება მიეწოდება მომხმარებელს. დღგ-ს ინვოისის მიღებისას შეყვანის დღე, როგორც წესი, ერიცხება გამომავალ დღგ-ს. საგადასახადო ორგანოები ნებას რთავენ დღგ-ს გადახდის წმინდა საფუძველზე. შესყიდვებთან და გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც ხდება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღიარებულია მომავალი მთლიანი ოდენობით, დღგ-ს ჩათვლით.

4 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიიღო ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ და სავალდებულოა მიმდინარე ანგარიშგების პერიოდისთვის. კომპანიის მიერ ამ ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების ზეგავლენა ჯერ არ არის შეფასებული.

ყველა ახალი ან შესწორებული საბუღალტრო სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც ჯერ არ არის სავალდებულო, ნაადრევად არ იქნა მიღებული.

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის და გამოყენებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პროცესში:

1. IAS 1-ის ცვლილებები: ვალდებულებების კლასიფიკაცია როგორც მიმდინარე ან არამიმდინარე

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები აზუსტებს კრიტერიუმებს, რომელთა საფუძველზეც ვალდებულებები კლასიფიცირდება მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, აქცენტით იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებობს.

2. IFRS 16-ის ცვლილებები: იჯარის ვალდებულება გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: აღნიშნული ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეფასდეს იჯარის ვალდებულება და როგორ უნდა აღიაროს კომპანიამ ნებისმიერი მოგება ან ზარალი გაყიდვა-გაქირავების ოპერაციაში.

3. IAS 12-ის ცვლილებები: გადავადებული გადასახადი აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც წარმოიქმნება ერთიან ტრანზაქციაში

- ძალაში შესვლის თარიღი: 2024 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: ცვლილებები ზღუდავს IAS 12-ის გათავისუფლების სფეროს, რაც კომპანიებს ავალდებულებს, აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ ტრანზაქციებზე, რომლებიც იწვევს თანაბარი ოდენობის დაბეგვრად და გამოსაკლებ დროებით სხვაობებს.

სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც გამოქვეყნებულია, მაგრამ ჯერ არ ძალაში შესული

ქვემოთ მოცემული ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს მიერ, მაგრამ ძალაში არ არის შესული 2024 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული საანგარიშო პერიოდებისთვის. კომპანიას არ გამოუყენებია აღნიშნული სტანდარტები და მიმდინარე ეტაპზე აფასებს მათ გავლენას მომავალ ფინანსურ ინსტრუმენტებზე.

1. IFRS 18: ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენა და გამჟღავნება

- ძალაში შესვლის თარიღი: 2027 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: IFRS 18 შემოაქვს ახალი კატეგორიები და შუალედური მაჩვენებლები მოგებისა და ზარალის ანგარიშში და ავალდებულებს მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული ფინანსური მაჩვენებლების გამჟღავნებას.

2. IAS 21-ის ცვლილებები: გაცვლის შეუძლებლობა

- ძალაში შესვლის თარიღი: 2025 წლის 1 იანვარი
- მოკლე აღწერა: ცვლილებები განსაზღვრავს, როგორ უნდა შეაფასოს სუბიექტმა, შესაძლებელია თუ არა ვალუტის გაცვლა, და საბუღალტრო აღრიცხვის მოთხოვნებს იმ შემთხვევაში, თუ გაცვლა შეუძლებელია.

3. IFRS 9-ისა და IFRS 7-ის ცვლილებები: ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებული ელექტროენერგიის კონტრაქტები

- ძალაში შესვლის თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

მოკლე აღწერა: ცვლილებები აზუსტებს „საკუთარი მოხმარებისთვის“ მოთხოვნების გამოყენებას და საშუალებას აძლევს გარკვეულ კონტრაქტებს, დაექვემდებარონ ჰეჯირებისა და აღრიცხვის წესებს.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ჰიდროელექტრო სადგურები	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
ღირებულება 2023 წლის 1 იანვარი	62,275	-	49,825,480	1,830,663	12,186,164	477,682	64,382,264
შესყიდვა	-	-	-	-	-	12,845	12,845
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(611)	(611)
გაყიდვა	-	-	-	(82,865)	-	-	(82,865)
კაპიტალიზაცია	-	-	267,654	34,289	-	-	301,943
რეკლასიფიკაცია	-	-	12,339,238	-	(12,186,164)	153,074	-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერი	62,275	-	62,432,372	1,782,087	-	336,842	64,613,576
შესყიდვა	-	298,030	-	86,215	-	137,750	521,995
გაყიდვა	-	-	-	(33,050)	-	(169)	(33,219)
კაპიტალიზაცია	-	-	-	-	-	-	-
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერი	62,275	298,030	62,432,372	1,835,252	-	474,423	65,102,352
ცვეთა 2023 წლის 1 იანვარი	-	-	(2,476,545)	(343,909)	-	(68,391)	(2,888,845)
ცვეთის ხარჯი	-	-	(1,614,839)	(58,217)	-	(13,700)	(1,686,756)
ჩამოწერა	-	-	-	-	-	210	210
გაყიდვა	-	-	-	26,864	-	-	26,864
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(4,091,384)	(375,262)	-	(81,881)	(4,548,527)
ცვეთის ხარჯი	-	(3,200)	(1,569,758)	(118,500)	-	(29,208)	(1,720,666)
ჩამოწერა	-	-	-	12,531	-	164	12,695
რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(3,200)	(5,666,142)	(481,231)	-	(110,925)	(6,338,118)
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	62,275	-	47,348,935	1,486,754	12,186,164	409,291	61,493,419
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	62,275	-	58,340,988	1,406,825	-	254,961	60,065,049
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	62,275	294,830	56,771,230	1,354,021	-	363,498	58,845,854

ჰიდროელექტრო სადგურები მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემათა ხაზს, რომლის საბალანსო ღირებულება 2024 და 2023 წლის ბოლოს არის 1,960,817 და 2,016,842 ლარი, შესაბამისად.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას გააჩნია 27,559 და 16,532 ლარის საბალანსო ღირებულების სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები.

დაგირავებული/უზრუნველყოფილი ძირითადი საშუალებების შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე - 13 შენიშვნაში.

კომპანიის სასესხო ხელშეკრულებები მოიცავს შეზღუდვებს, რომლის ფარგლებშიც ბანკის წერილობით თანხმობის გარეშე არ არის შესაძლებელი ფიქსირებული აქტივების გაყიდვა და დაგირავება.

7. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება	მიწის იჯარა
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	608,123
დამატება	-
ცვეთის ხარჯი	(13,277)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	594,846
დამატება	-
ცვეთის ხარჯი	(13,313)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	581,533
საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	649,364
დამატება	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	76,761
გადახდა	(77,294)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	648,831
დამატება	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე	76,701
გადახდა	(77,294)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	648,238

კომპანიამ სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გააფორმა აღნაგობის ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების დროებით სარგებლობას „საშუალა ჰესი“, „საშუალა ჰესი 1“-ისა და „საშუალა ჰესი 2“-ის აშენების და ექსპლუატაციის მიზნებისთვის. ხელშეკრულების ვადა შეადგენს 49 წელს.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ერთ წლამდე	660	593
გადახდები	77,294	77,294
ფინანსური ხარჯი	76,634	76,701
1-5 წლამდე	4,604	4,136
გადახდები	386,470	386,470
ფინანსური ხარჯი	381,866	382,334
5 წლის შემდეგ	642,974	644,102
გადახდები	2,933,049	3,087,638
ფინანსური ხარჯი	2,290,075	2,443,536
წმინდა მიმდინარე ღირებულება	648,238	648,831

იჯარის ხელშეკრულებებში არ არის ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი. კომპანიამ ზღვრულ სასესხო განაკვეთად გამოიყენა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოცხადებული სტატისტიკური ინფორმაცია. დეტალური ინფორმაცია საიჯარო ხელშეკრულებებისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

ხელშეკრულების თარიღი	ხელშეკრულების ვადა	ხელშეკრულების საგანი	საპროცენტო განაკვეთი
08.12.2017	49 წელი	მიწის ნაკვეთი	11,4 %
20.11.2018	49 წელი	მიწის ნაკვეთი	11 %
24.09.2018	49 წელი	მიწის ნაკვეთი	10,8 %
17.05.2019	49 წელი	მიწის ნაკვეთი	10,6 %
08.11.2021	49 წელი	მიწის ნაკვეთი	13 %
21.09.2022	49 წელი	მიწის ნაკვეთი	13,7%

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სათადარიგო ნაწილები	403,216	387,048
მასალები	31,118	42,186
საწვავი	11,421	8,835
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	445,755	438,069

კომპანიამ 2024 და 2023 წელს შეიძინა ევროპული ბრენდის ჰიდროტურბინის ნაწილები და ტრანსფორმატორი, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნაში წარმოდგენილია სათადარიგო ნაწილების სახით.

9. გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადგილობრივი მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	44,359	44,359
უცხოური მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	506,348	506,348
სულ გადახდილი ავანსები	550,707	550,707

უცხოური მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები შეადგენს ჰიდროელექტროსადგურების სათადარიგო ნაწილების შესაძენად წინასწარ გადახდილ თანხებს.

10. სავაჭრო და დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	843,190	1,282,267
სულ სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	843,190	1,282,267

სავაჭრო მოთხოვნები წარმოადგენს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) მიმართ მოთხოვნას. აღნიშნული მოთხოვნა დაიფარა 2025 წლის იანვარში და შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა არ შეექმნა საექვო მოთხოვნების რეზერვი მოცემულ საანგარიშგებო პერიოდებში.

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	327,730	269,914
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	767	266,900
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	328,497	536,814

ფული საბაკო ანგარიშზე ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში განთავსებულია მიმდინარე ანგარიშებზე და ერიცხება საპროცენტო სარგებელი.

	საპროცენტო განაკვეთი	საპროცენტო შემოსავალი
მიმდინარე ანგარიში ბანკში	6%	10,146
მიმდინარე ანგარიში ბანკში	1%	1,453

12. საკუთარი კაპიტალი

2024 წლის 16 ოქტომბერს, კომპანიის აქციონერი გახდა შპს გრინ ენერჯი ჰოლდინგი, რომლის მფლობელები არიან: მინდია საბანაძე - 95%, გიორგი შუკაკიძე - 3% და დავით ხაჩიძე - 2%. კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამოცხადდა და დამფუძნებლებს შორის განაწილდა დივიდენდი 1,294,014 და 1,258,402 ლარის ოდენობით.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

13. მიღებული სესხები

	ვალუტა	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ძირის გადახდა	პროცენტის გადახდა	31-დეკემბერი-2024		31-დეკემბერი-2023	
							გრძელვადიანი ნაწილი	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	მოკლევადიანი ნაწილი
სესხი 1 (დაკავშირებული მხარე)	აშშ დოლარი	3/9/2018	3/30/2030	8.40%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	3,817,248	-	3,657,584	-
სესხი 2 (დაკავშირებული მხარე)	აშშ დოლარი	8/4/2021	8/4/2026	7.00%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	1,599,876	-	1,532,958	-
სესხი 3 (დაკავშირებული მხარე)	ლარი	11/14/2022	11/14/2026	13.60%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	45,000	-	45,000	-
სესხი 4 (დაკავშირებული მხარე)	აშშ დოლარი	11/2/2022	11/2/2027	9.00%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	56,136	-	53,788	-
სესხი 5 (დაკავშირებული მხარე)	ლარი	8/17/2015	2/1/2030	13.50%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	1,767,861	-	1,767,861	-
სესხი 6 (დაკავშირებული მხარე)	ლარი	8/26/2020	8/26/2027	11.80%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	70,000	-	70,000	-
სესხი 7 (დაკავშირებული მხარე)	აშშ დოლარი	4/5/2021	4/1/2026	8.00%	ვადის ბოლოს	ვადის ბოლოს	435,896	-	471,452	-
სესხი 8 (დაკავშირებული მხარე)	აშშ დოლარი	6/18/2024	6/18/2026	10.00%	ყოველ თვიურად	ყოველ თვიურად	280,680	-	-	-
სესხი 9 (ბანკი)	აშშ დოლარი	9/5/2018	2/8/2024	10.15%	ყოველ თვიურად	ყოველ თვიურად	-	-	1,444,952	326,164
სესხი 10 (ბანკი)	ევრო	9/21/2018	4/7/2035	7.80%	კვარტა ლურად	კვარტა ლურად	4,615,159	296,729	4,955,515	318,612
სესხი 11 (ბანკი)	ევრო	5/6/2022	4/7/2035	7.80%	კვარტა ლურად	კვარტა ლურად	7,738,732	648,745	8,309,442	696,589
სესხი 12 (ბანკი)	ლარი	8/25/2022	12/28/2035	12.00%	კვარტა ლურად	კვარტა ლურად	2,911,713	235,753	5,801,783	469,754
ფასიანი ქაღალდები	აშშ დოლარი	6/22/2023	6/22/2025	8.50%	ვადის ბოლოს	კვარტ ალურად	-	28,068,000	22,771,150	-
სულ სესხის ძირი							23,338,301	29,249,227	50,881,485	1,811,119
გადასახდელი პროცენტი							4,646,405	268,758	3,792,658	278,232
სულ მიღებული სესხები							27,984,706	29,517,985	54,674,143	2,089,351

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

სესხები 1-დან 8-ის ჩათვლით წარმოადგენს სესხებს დაკავშირებულ მხარეებთან.

სესხის ძირის მოძრაობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის ძირის მოძრაობა	
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,692,604
მიღებული სესხი	4,640,019
გადახდილი სესხი	(6,159,024)
საკუროს სხვაობის ეფექტი	1,413,929
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,587,528

სესხის ძირის მოძრაობა	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,499,820
მიღებული სესხი	22,813,856
გადახდილი სესხი	(22,952,847)
საკუროს სხვაობის ეფექტი	331,775
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,692,604

სესხის პროცენტის მოძრაობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის პროცენტის მოძრაობა	
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,890
საპროცენტო ხარჯი	4,666,877
გადახდილი პროცენტი	(3,942,055)
საკუროს სხვაობის ეფექტი	119,451
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,915,163

სესხის პროცენტის მოძრაობა	
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,296,605
საპროცენტო ხარჯი	5,132,571
გადახდილი პროცენტი	(5,116,613)
საკუროს სხვაობის ეფექტი	(241,673)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,070,890

თიბისი ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულებები მოიცავს კოვენანტებს, რომლის დარღვევის შემთხვევაში ბანკს შეუძლია სესხის საპროცენტო განაკვეთის 1.5%-ით გაზრდა.

სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია არღვევს სესხის მომსახურების კოეფიციენტს თუმცა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სს „თიბისი ბანკს“ არ აუმოქმედებია შესაბამისი საჩუქრები. იმ შემთხვევაში თუ DEBT/EBITDA კოეფიციენტის კალკულაციაში მიიღებს მონაწილეობას დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სუბორდინირებული სესხები, მაშინ კომპანია დაარღვევს მეორე კოვენანტს.

სს „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანიას აქვს უზრუნველყოფილი შემდეგი აქტივები:

- კომპანიის კუთვნილი და აღნაგობის უფლებით მიღებული მიწის ნაკვეთები წმინდა საბალანსო ღირებულებით 643,808 ლარი (2023: 657,121 ლარი);
- კომპანიის კუთვნილი მთელი არსებული და სამომავლო მოძრავი ქონება და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე: არსებული და სამომავლო არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ შორის 2015 წლის 31 მარტს გაფორმებული მემორანდუმიდან და საქართველოს მთავრობას, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებული მემორანდუმიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებები და

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

- მოთხოვნის უფლებები გამომდინარე სხვადასხვა ხელშეკრულებებიდან);
- შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ გასაფორმებელი ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ ყველა და ნებისმიერი უფლება;
 - კომპანიის მფლობელების კუთვნილი წილები შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ საწესდებო კაპიტალში;
 - კომპანიის საკუთრებაში არსებული ჰიდროელექტროსადგურები წმინდა საბალანსო ღირებულებით 56,771,230 ლარი (2023: 58,340,988 ლარი);

კომპანიას აქვს საბანკო გარანტიები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2024	თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი
გარანტია 6338044-13240772	86,000	აშშ დოლარი	2.20%	16/04/2024	21/09/2026
31 დეკემბერი 2023	თანხა	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი
გარანტია 6338044-11804260	22,500	აშშ დოლარი	2.20%	18/1/2022	13/02/2024

საბანკო გარანტიები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უზრუნველყოფს კომპანიის ვალდებულებას საქართველოს სახელმწიფოს მიმართ „სურები 2 ჰესის“ პროექტის ფარგლებში, სადაც კომპანია ვალდებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩაატაროს ტექნიკურ ეკონომიკური კვლევა, რომლის მიზანია წინასამშენებლო ფაზის გეგმის შემუშავება.

2023 წლის 22 ივნისს კომპანიამ გამოუშვა ფასიანი ქაღალდები საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რომლის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს, საპროცენტო განაკვეთია 8.5 %. ჯამში კომპანიამ გამოუშვა 10,000,000 აშშ დოლარის ობლიგაციები.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს აღმოჩნდა, რომ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა თიბისი ლიზინგის მიმართ მიმდინარე ვალდებულება და ობლიგაციებზე დარიცხული საპროცენტო ვალდებულება, რომლებმაც შეადგინა 89,310 და 53,029 ლარი, შესაბამისად. თუმცა სააღრიცხვო შეცდომის შედეგად აღნიშნული ნაშთები საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალის) ანგარიშზე იყო ჩამოწერილი. კერძოდ, აღნიშნულმა გამოიწვია საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ზრდა და საპროცენტო ვალდებულების შემცირება.

ვინაიდან აღნიშნული შეცდომა არის არამატერიალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, კომპანიამ დააკორექტირა მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგება საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალისა და საპროცენტო ვალდებულების გაზრდით. აღნიშნულმა კორექტირებამ გაასწორა გასულ პერიოდებში არასწორად წარდგენილი ნაშთები. გთხოვთ იხილოთ მე-18 განმარტებითი შენიშვნა დეტალური ინფორმაციისთვის.

დამატებით, 2024 წლის განმავლობაში აღნიშნული საპროცენტო ვალდებულება სრულად დაიფარა. ფასს სტანდარტების შესაბამისად, არ მომხდარა გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, ვინაიდან კორექტირებები არის არამატერიალური.

14. სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კრედიტორული დავალიანება მომწოდებლების მიმართ	97,567	110,981
გადასახდელი დივიდენდი	35,612	-
სხვა დავალიანება	1,036	12,645
სულ სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	134,215	123,626

15. შემოსავლები

	2024	2023
შემოდგომა-ზამთრის თვეები	7,711,858	7,722,655

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

გაზაფხული-ზაფხულის თვეები	3,282,488	3,971,654
სულ შემოსავლები	10,994,346	11,694,309

2020 წლის 30 სექტემბერს და 2021 წლის 9 აგვისტოს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულებები მოქმედებს კომერციული ოპერირების დაწყების დღიდან 10 წლის განმავლობაში. ზამთრის თვეები მოიცავს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

გაზაფხული და ზაფხულის თვეებში კომპანიას არ აქვს გაფორმებული გარანტირებული გაყიდვის ხელშეკრულებები შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაცია ხდება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

16. თვითღირებულება

	2024	2023
ელექტროენერგიის რეალიზაციის თვითღირებულება	(3,038,803)	(2,745,947)
ცვეთის ხარჯი	(1,733,980)	(1,700,033)
ელექტროენერგიის გადაცემის საკომისიო ხარჯი	(436,042)	(464,382)
ხელფასის ხარჯი	(398,480)	(467,294)
რეგულირების ხარჯი	(38,525)	(35,083)
მარაგების ჩამოწერა	(387,923)	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	(43,853)	(79,155)
სხვა რეალიზაციის თვითღირებულება	-	-
გაყიდული ნედლეული და მასალები	-	-
სულ თვითღირებულება	(3,038,803)	(2,745,947)

17. ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
მომსახურების ხარჯი	(578,318)	(668,897)
შრომის ანაზღაურება	(922,512)	(507,510)
შეკეთების ხარჯი	(77,226)	-
საწვავის ხარჯი	(79,931)	(117,930)
საგადასახადო ხარჯი	(684,599)	(1,323,951)
საიჯარო ხარჯი	(68,077)	(8,521)
დაზღვევის ხარჯი	(110,115)	(77,963)
საოფისე ხარჯი	(19,060)	(10,725)
სხვა ხარჯი	(27,195)	(27,922)
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	(2,567,033)	(2,743,419)

მომსახურების ხარჯი მოიცავს თიბისი კაპიტალისტის გადახდილ საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბონდების განთავსებისთვის გადახდილ საშუალო საკომისიოს 2024 და 2023 წელს 44,080 და 221,251 ლარის ოდენობით. ვინაიდან აღნიშნული თანხა არაარსებითია, კომპანიამ გადაწყვიტა ამორტიზირების სანაცვლოდ აღიაროს ხარჯად.

საგადასახადო ხარჯი წარმოდგენილი 1,323,951 ათასი ლარით მოიცავს ქონების გადასახადის ხარჯს 2023 წლის პერიოდისთვის 697,921 ლარის ოდენობით. (2022 – 626,030 ლარი). 2024 წელს საგადასახადო ხარჯი მოიცავს ქონების გადასახადის ხარჯს 648,599 ლარის ოდენობით.

18. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	35,169	13,894
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	(22,424)	(15,668)
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	(479,900)	382,397
მიღებული სესხები	(1,533,380)	(90,102)
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	(2,000,535)	290,521

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

გასულ საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) გაზრდილია, ვინაიდან 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში უცხოური ვალუტა, კერძოდ აშშ დოლარი, რომელშიც კომპანია ახორციელებს გარკვეულ ტრანზაქციებს, შედარებით ცვლადი იყო.

სესხის ნომერი	თანხა	ვალუტა	კურსი 2023	ლარში 2023	კურსი 2024	ლარში 2024	საკუროს მოგება/(ზარალი)
1	1,360,000	აშშ დოლარი	2.6894	3,657,584	2.8068	3,817,248	(159,664)
2	570,000	აშშ დოლარი	2.6894	1,532,958	2.8068	1,599,876	(66,918)
4	20,000	აშშ დოლარი	2.6894	53,788	2.8068	56,136	(2,348)
7	155,300	აშშ დოლარი	2.6894	417,664	2.8068	435,896	(18,232)
8	100,000	აშშ დოლარი	2.6894	268,940	2.8068	280,680	(11,740)
10	1,676,069	ევრო	2.9753	4,986,809	2.9306	4,911,888	74,920
11	2,862,034	ევრო	2.9753	8,515,410	2.9306	8,387,477	127,933
ბონდები	10,000,000	აშშ დოლარი	2.6894	26,894,000	2.8068	28,068,000	(1,174,000)
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	30,017	ევრო	2.9753	89,310			(89,310)
წინა პერიოდის შეცდომის გასწორება	19,718	აშშ დოლარი	2.6894	53,029			(53,029)
კორექტირება 2024							(160,992)
სულ							(1,533,380)

19. სხვა არასაოპერაციო ხარჯი/(შემოსავალი)

	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	78,842	321,142
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	66,768	321,142
საპროცენტო შემოსავალი	12,074	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(216,070)	(277,407)
კონვერტაციის საკომისიო ხარჯი	(89,656)	(127,524)
ჩამოწერილი ძირითადი საშუალებები	-	(401)
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(3,957)	(38,696)
საქველმოქმედო ხარჯი	(100,000)	(100,000)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(22,457)	(10,786)
წმინდა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	(137,228)	43,735

2024 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიამ გაყიდა ძირითადი საშუალებები 3,957 ლარის წმინდა ზარალით, საიდანაც 20,524 ლარი არის გაყიდული ნივთების წმინდა საბალანსო ღირებულება და 16,567 ლარი ტრანზაქციის ფასი.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში კომპანიამ გაყიდა ძირითადი საშუალებები 38,696 ლარის წმინდა ზარალით, საიდანაც 56,001 ლარი არის გაყიდული ნივთების წმინდა საბალანსო ღირებულება და 17,305 ლარი ტრანზაქციის ფასი.

20. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ასახითებს კანონმდებლობის ხშირი ცვლა, რომელიც ხშირად ექვემდებარება ინტერპრეტაციას. არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციები სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებსაც კანონით უფლება აქვთ დააწესონ მკაცრი ჯარიმები და სანქციები. ამ ფაქტებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას უფრო მეტი საგადასახადო რისკები, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის წარმოდგენილი. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია რაიმე

გაუთვალისწინებელი და მატერიალური ვალდებულება.

21. სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

სამართლიანი ღირებულებები კატეგორიზებულია სხვადასხვა დონეზე სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია შეფასების მონაცემები და მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების მონაცემების მნიშვნელობა:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

მენეჯმენტი თვლის, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მიახლოებითაა მათი საბალანსო ღირებულებასთან.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სავარაუდო რეალური ღირებულებები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეზე გარდა ფული და ფულის ეკვივალენტებისა რომელიც კლასიფიცირებულია პირველ იერარქიაში.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია საქმიანობის ფარგლებში ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

- საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:

- საპროცენტო რისკი;
- სავალუტო რისკი.

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება,

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
 ფინანსური ანგარიშგება
 31 დეკემბერი 2024
 (ქართულ ლარში)

აღწერილია ქვემოთ.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	328,497	536,814
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	843,190	1,282,267
საგადასახადო აქტივები, ნეტო	71,648	-
გადახდილი ავანსები	85,728	550,707
სულ ფინანსური აქტივები	1,329,063	2,369,788
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	134,215	123,626
საიჯარო ვალდებულება	648,238	648,831
საგადასახადო ვალდებულება	-	20,993
მიღებული სესხები	57,502,691	56,763,494
სულ ფინანსური ვალდებულებები	58,285,144	57,556,944

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (საბანკო ნაშთები).

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია იყენებს საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნის გამარტივებულ მიდგომას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო რიცხვი. შესაბამისად, კომპანია ახდენს პერიოდულად სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის მონიტორინგს და რეზერვის შესაქმნელად ითვალისწინებს პერიოდის შემდგომ სავაჭრო მოთხოვნების დაფარვებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შესაძენად და შესაქმნელად იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია:

	1 წელზე <	1 დან 5 წლამდე	5 წელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	328,497	-	-	328,497
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	843,190	-	-	843,190
საგადასახადო აქტივები, ნეტო	71,648	-	-	71,648
გადახდილი ავანსები	85,728	-	-	85,728
აქტივები	1,329,063	-	-	1,329,063
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	134,215	-	-	134,215
საიჯარო ვალდებულება	660	4,604	642,974	648,238
საგადასახადო ვალდებულება	-	-	-	-
მიღებული სესხები	29,517,985	5,954,156	22,030,550	57,502,691
ვალდებულებები	29,652,860	5,958,760	22,673,524	58,285,144
ბალანსი, ნეტო	(28,323,797)	(5,958,760)	(22,673,524)	(56,956,081)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ლიკვიდურობის პოზიცია:

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

	1 წელზე <	1 დან 5 წლამდე	5 წელზე >	სულ
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	536,814	-	-	536,814
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,282,267	-	-	1,282,267
საგადასახადო აქტივები, ნეტო	-	-	-	-
გადახდილი ავანსები	550,707	-	-	550,707
აქტივები	2,369,788	-	-	2,369,788
სავაჭრო და კრედიტორული დავალიანება	123,626	-	-	123,626
საიჯარო ვალდებულება	593	4,136	644,102	648,831
საგადასახადო ვალდებულება	20,993	-	-	20,993
მიღებული სესხები	2,089,351	26,389,300	28,284,843	56,763,494
ვალდებულებები	2,234,563	26,393,436	28,928,945	57,556,944
ბალანსი, ნეტო	135,225	(26,393,436)	(28,928,945)	(55,187,156)

ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორიცაა ფულადი და ფულის ექვივალენტები და სავაჭრო დებიტორული დავალიანება.

კომპანიის უარყოფითი ლიკვიდობის პოზიცია გამოწვეულია ფასიანი ქაღალდების დასრულების თარიღით, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს 2025 წლის 22 ივნისამდე. აღნიშნული ვალდებულების დასაფარად კომპანია აქტიურად თანამშრომლობს თიბისი კაპიტალთან, რომელიც წარმოადგენს ბროკერს, დამატებითი ობლიგაციების განთავსებისთვის. ამჟამად კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას, ცვლის სხვადასხვა ინფორმაციებს თიბისი კაპიტალთან, რომელიც საჭიროა დამატებითი ბონდების განთავსებისთვის, იმისათვის რომ მოხდეს არსებული ვალდებულების გადაფარვა.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტიან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში აღრიცხული ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე ნაჩვენებია მათი მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

დოლარი		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	372	266,900
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	34,257,836	32,471,918
წმინდა პოზიცია	(34,257,464)	(32,205,018)

ევრო		
ფინანსური აქტივები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	395	-
ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
პროცენტიანი სესხები	13,299,365	14,487,964
წმინდა პოზიცია	(13,298,970)	(14,487,964)

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს მოგების ან ზარალის მგრძნობელობას სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებების მიმართ ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადების მუდმივობის პირობებში:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(6,851,493)	(6,441,004)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	6,851,493	6,441,004
ევროს ვალუტის 10%-ით გამყარება	(2,659,794)	(2,897,593)
ევროს ვალუტის 10%-ით გაუფასურება	2,659,794	2,897,593

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში, ფიქსირებული განაკვეთებით, შესაბამისად, სავალუტო რისკის გარდა, კომპანია არ ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს. კომპანია მართავს საპროცენტო განაკვეთის რისკს ფიქსირებული განაკვეთებით სესხების წილების გაზრდით და დაფინანსების სხვა წყაროებით ფინანსური რესურსების მოზიდვის საშუალებების შემუშავებით.

კომპანიას აქვს სესხები, სადაც საპროცენტო განაკვეთები დამოკიდებულია სხვადასხვა ცვლადებზე, როგორცაა LIBOR და ა.შ. შედეგად, კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს. მისი ექსპოზიციის მართვის მიზნით, კომპანია ცდილობს გაზარდოს ფიქსირებული განაკვეთით სესხების პროპორცია და გამოიკვლიოს დაფინანსების ალტერნატიული წყაროები მისი დაფინანსების სტრუქტურის დივერსიფიკაციის მიზნით, რაც მოიცავს დამატებითი ობლიგაციების გამოშვებას, რომლის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

23. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით (ასევე ცნობილი როგორც დაბეგვრის ესტონური მოდელი), რომელიც ძირითადად ცვლის დაბეგვრის მომენტს დასაბეგრი მოგების მიღების მომენტიდან იმ მომენტამდე, როდესაც ხდება მისი განაწილება. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა ანგარიშგების თარიღამდე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კანონის მოქმედების შემდეგ არ იქნება აღიარებული. მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება განაწილებული დივიდენდის თანხის 15/85-ით.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დღგ-სთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში. გადაწყვეტილების მიხედვით, მყიდველისგან წინასწარ მიღებული თანხის ოდენობა უნდა დაექვემდებაროს დღგ-ს. კანონი ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საგადასახადო პერიოდებიდან.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ გაანაწილა დივიდენდი მეწილეებს შორის, საიდანაც გადაიხადა მოგების გადასახადი 201,428 ლარის ოდენობით. (2023 – 149,756 ლარი).

24. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავე ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2024
(ქართულ ლარში)

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციის;

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებულ ორგანიზაციისთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;

(VI) ამ ორგანიზაციის აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;

(VII) (ა) (ი) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული ორგანიზაციის (ან მისი სათავო ორგანიზაციის) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(VII) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ ორგანიზაციის, ან ანგარიშვალდებული ორგანიზაციის სათავო ორგანიზაციისთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები:	2024	2023
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
საპროცენტო ხარჯი	746,656	700,303
საიჯარო ხარჯი	67,577	-
ნაშთები:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:		
მიღებული სესხი	12,719,102	11,391,301
	2024	2023
მენეჯმენტისა და მმართველი რგოლის ანაზღაურება	267,858	287,115

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ამ ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის კომპანიამ მფლობელზე გასცა დივიდენდი 106,245 ლარის ოდენობით.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება ასახულიყო ფინანსურ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“

(ს/კ 404485188)

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	33
2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ	33
3. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ.....	33
4. ინფორმაცია მწვანე ფინანსირების ჩარჩოს შესახებ.....	34
5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები	34
6. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა	34
7. გარემოსდაცვითი საკითხები.....	34
8. მთავარი რისკები და გაურკვევლობები.....	35
საბაზრო რისკი	35
სავალუტო რისკი.....	35
საპროცენტო განაკვეთის რისკი.....	35
საკრედიტო რისკი.....	35
ლიკვიდურობის რისკი.....	35
9. კომპორაციული მმართველობა	36
ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას ერთპიროვნულად.....	45

1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც შეიქმნა საქართველოში 2015 წლის 9 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით (404485188). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 70, ბიზნეს ცენტრი "სითი თაუერი" 17 სართული. კომპანიას ფილიალი არ გააჩნია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს პოტენციური ჰიდროელექტროსადგურების პროექტების მოძიება, პროექტირება, მშენებლობა, ექსპლუატაცია, ელექტროენერგიის წარმოება, რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე და მის ექსპორტი ქვეყნის გარეთ. 2015 წლის 31 მარტს საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ჰიდროელექტროსადგურების სამშენებლო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, რის შემდეგაც 2016 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ მოიპოვა ჰიდროელექტროსადგურების „საშუალა ჰესი 1“ და „საშუალა ჰესი 2“-ის, მშენებლობის უფლება, რის შედეგად განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად 49 წლიანი აღნაგობის უფლებით კომპანიას გადაეცა პროექტის განვითარებისთვის საჭირო მიწის ნაკვეთები. აღნიშნული აღნაგობის ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობა არის ის, რომ 49 წლის შემდეგ მიწა და მასზე არსებული ნებისმიერი ნაგებობა უბრუნდება სახელმწიფოს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული ჰიდროელექტროსადგურები შევიდა ექსპლუატაციაში.

2019 წლის 17 ივნისს საქართველოს მთავრობასთან დამატებით გაფორმდა მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც კომპანიამ მოიპოვა მესამე ჰიდროელექტროსადგურის, „საშუალა ჰესი“-ის მშენებლობის უფლება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს „საშუალა ჰესის“ მშენებლობა დასრულებულია და წარმატებით ოპერირებს.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით საკუთარი აქციები არ გამოუშვია.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო აქტივები მდებარეობს საქართველოში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

კომპანიაში 2024 წელს დასაქმებული იყო 39 თანამშრომელი.

2. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ

კომპანია არ ფლობს ფილიალებს.

3. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ

კომპანიამ 2023 წლის 22 ივნისს გამოუშვა „ობლიგაციები“, რომელთა საერთო ძირი თანხა შეადგენს 10,000,000 აშშ დოლარს, ხოლო დარიცხული პროცენტი 8.5%-ს, ვადამოსული ხდება 22.06.2025. „ობლიგაციების“ საბოლოო მაქსიმალური ოდენობა იქნება 10,000,000 აშშ დოლარამდე. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 აშშ დოლარს.

2024 წლის 31 დეკემბერს ობლიგაციის განთავსებული მოცულობა იყო 10,000,000 აშშ დოლარი.

4. ინფორმაცია მწვანე ფინანსირების ჩარჩოს შესახებ

„ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ 100% – მა დამფუძნებელმა „გრინ – ენერჯი ჰოლდინგმა“, თიბისი კაპიტალისა და აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, მწვანე დაფინანსების ჩარჩოზე მეორე მხარის მოსაზრება წარმატებით მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ წარმატებით შემუშავდა მწვანე დაფინანსების ჩარჩო და მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი დამოუკიდებელი შემფასებლის, Sustainalytics-ის მხრიდან, დადებითი მეორე მხარის მოსაზრება გახდა საჯარო, რომელიც ადასტურებს, რომ კომპანიის მიერ მისი შვილობილი კომპანიების საშუალებით შესრულებული და დაგეგმილი, განახლებადი ენერგიის პროექტები შესაბამისობაშია მწვანე დაფინანსების საერთაშორისო პრინციპებთან. კომპანიამ გეგმავს რა ახალი ემისიის განთავსებას, მოზიდული სახსრები შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ მიერ მწვანე ინვესტიციების დაფინანსების პროექტებს მოხმარდება.

5. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის ძირითადი ამოცანაა, საკუთრებაში არსებული გენერაციის ობიექტების ექსპლუატაცია/მართვა, ელ. მექანიკური მოწყობილობების მუდმივი მონიტორინგი, საიმედოობის მაქსიმალური უზრუნველყოფა, წარმოებული ელექტროენერგიის შესაძლო მაქსიმალურ ფასად რეალიზაცია საქართველოს ბაზარზე და მის ფარგლებს გარეთ. „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ უკვე გააჩნია ელექტროენერგიის ექსპორტზე გატანის გამოცდილება. ასევე კომპანიის მნიშვნელოვანი მიზნებში უზრუნველყოფილია ახალი პროექტების მოძიებისა და განვითარების შესაძლებლობები, კერძოდ: დღეის მდგომარეობით საქართველოს მთავრობასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, გურიის რეგიონში, ახალი მწვანე გენერაციის ობიექტის (8.6 მგვტ სიმძლავრის), ჰიდროელექტროსადგურის კვლევის, შემდგომში მშენებლობის, ფლობა ოპერირების კუთხით. კომპანიის გეგმებში შედის მწვანე დაფინანსების ჩარჩოს ფარგლებში მოზიდული თანხებით მწვანე ინვესტიციების განხორციელება.

6. კომპანიის მიერ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმოხილვა

პროექტის განვითარების საწყის ეტაპზე, კომპანიის მიერ დაქირავებული იქნა სხვადასხვა საპროექტო, კვლევითი ორგანიზაციები, შესწავლილ იქნა პროექტის/ჰიდროელექტროსადგურების განთავსების ტერიტორიის სეისმური, გეოლოგიური, გეოტექნიკური მდგომარეობა, მოძიებული იქნა ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური მონაცემები, მომზადდა შესაბამისი რეპორტები. მომზადდა პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის ანგარიში, დეტალური დიზანი, რომელის მომზადებისთვისაც გამოყენებულ იქნა საუკეთესო საინჟინრო პრაქტიკის საფუძვლები. შესწავლილ იქნა საკვლევი ტერიტორიის ფლორა, ფაუნა და სოციალური საკითხები, განისაზღვრა პროექტის გავრცელების არეალში გარემოზე შესაძლო ზიანის შემარბილებელი ღონისძიებები, მიღებული შედეგებით ნათლად ჩანს პროექტი წარმოადგენს დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ენერგეტიკული ობიექტს საინჟინრო პრაქტიკის საუკეთესო გამოვლინებას, ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ფაქტორების სრულად გათვალისწინებით.

7. გარემოსდაცვითი საკითხები

შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია საამშენებლო და საექსპლუატაცია პროცესის დროს მოქმედებს საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის შესაბამისად, გარემოსდაცვითი კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით, მუდმივად მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი პროცედურების დაცვას, მოთხოვნილი პერიოდული კვლევების შედეგების შესახებ სამინისტროსთვის წარდგენას.

8. მთავარი რისკები და გაურკვევლობები

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები, რომლებსაც კომპანია ექვემდებარება, აღწერილია ქვემოთ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკს და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს მოიცავს პროცენტიან სესხებს და ფულადი სახსრების ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ შესაძლოა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითი ზემოქმედება გამოიწვიოს იმ კურსის ცვლილებამ, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ოპერაციებს. კომპანია არ იყენებს რომელიმე წარმოებულს უცხოური ვალუტის რისკის ზემოქმედების მართვისთვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში, როგორც ფიქსირებული, ასევე ცვლადი განაკვეთებით, შესაბამისად, ზემოთ აღწერილი უცხოური ვალუტის რისკის გარდა, კომპანია ასევე ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს. ფიქსირებული პროცენტი ერიცხება მხოლოდ დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებს. საპროცენტო განაკვეთის რისკს მენეჯმენტი მართავს ფიქსირებულ განაკვეთიანი სესხების წილის გაზრდით და სხვა ტიპის დაფინანსების მოძიებით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი არ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტის ან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს. კომპანია ექვემდებარება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკს (საბანკო ნაშთები).

საკრედიტო რისკი ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში კომპანია იყენებს საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნის გამარტივებულ მიდგომას. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ვადად განსაზღვრულია მომდევნო თვის ბოლო რიცხვი. შესაბამისად, კომპანია ახდენს პერიოდულად სავაჭრო მოთხოვნების ნაშთის მონიტორინგს და რეზერვის შესაქმნელად ითვალისწინებს პერიოდის შემდგომ სავაჭრო მოთხოვნების დაფარვებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიას აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და

ახდენს მის პროგნოზირებას. კომპანია გრძელვადიანი აქტივების შესაძენად და შესაქმნელად იყენებს მხოლოდ გრძელვადიან სესხებს.

9. კომპორაციული მმართველობა

საზოგადოების ორგანოებია: საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო (ქვეკომიტეტი - აუდიტის კომიტეტი), ხელმძღვანელი ორგანო - დირექტორი

დირექტორი

დირექტორს გააჩნია საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებას ერთპიროვნულად. დირექტორი უფლებამოსილია იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმომადგენლობის საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში. დირექტორის ხელმძღვანელობის უფლება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებას.

საერთო კრება

საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება. საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, ვალდებულებათა აღება, მათ შორის სასესხო ვალდებულების აღება, კრედიტის აღება/გაცემა, ვალდებულებათა უზრუნველყოფა, ორგანიზაციის აქტივების გასხვისება/უფლებრივად დატვირთვა/დაგირავება, დივიდენდის განაწილება. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც საზოგადოებას დაფუძნებიდან ან საზოგადოების მართვიდან გამომდინარე აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ.

სამეთვალყურეო საბჭო

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს 2024 წლის 27 დეკემბრის პარტნიორის კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო 2024 წლის 27 დეკემბრის პარტნიორთა გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა ახლებურად ჩამოყალიბდა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024) დღეის მდგომარეობით: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე/წევრი: მინდია საბანაძე, 01023002458

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: გიორგი მთიბელაშვილი, 01017013930 (დამოუკიდებელი წევრი)

წევრი: დავით ხაჩიძე, 01024024429

წევრი: ლევან მესხელი, 01008030756

წევრი: ბექა აბუთიძე, 01024078750

წევრი: ირაკლი ჭილაძე, 01008021270 (დამოუკიდებელი წევრი)

სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის წევრები:

თავმჯდომარე: გიორგი მთიბელაშვილი (01017013930)

ბექა აბუთიძე, 01024078750

ირაკლი ჭილაძე, 01008021270

კორპორაციული მმართველობის დეტალური ანალიზი მოცემულია პუნქტში (9)

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება

„საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ (შემდგომში „კორპორაციული მართვის კოდექსი“) შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება (შემდგომში „კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება“) შედგენილია კორპორაციული მართვის კოდექსის 24-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ის აღწერს ორგანიზაციის კორპორაციული მართვის აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის მდგომარეობას, აღწერს თუ რა საშუალებები გამოიყენა კორპორაციული მართვის პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ასევე წარმოადგენს ალტერნატივას, რომელიც აღწერს თუ რა ღონისძიებები გაატარა საწარმომ ან აპირებს, რომ გაატაროს კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელო კორპორაციული დოკუმენტები შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შემუშავდა და დამტკიცდა “კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო”, რომელმაც განსაზღვრა ორგანიზაციაში კორპორაციული მართვის პრინციპები და ანგარიშგების მოთხოვნები. კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო წარმოადგენს კორპორაციული მართვის და კონტროლის ერთიან ჩარჩო სისტემას, რომელიც მოიცავს უფლებების და პასუხისმგებლობების განაწილებას, საკითხების განხილვის და დამტკიცების ცირკულარს, გადაწყვეტილებების მიღების და მონიტორინგის წესს.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო ორგანიზაციის წესდებასთან კონსოლიდურებულად უზრუნველყოფს, შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“, როგორც ფასიანი ქაღალდების ემიტენტის გამჭვირვალობის ხარისხს, რომელიც თავის მხრივ ინვესტორთა ნდომის ამალღების საფუძველია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. ორგანიზაციის დირექტორს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს, მის ქვეთავებთან, მათ შორის საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე დაინტერესებულ პირთა წვდომა ორგანიზაციის ვებ-გვერდის თუ სხვა ტექნიკური საშუალებით.

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო სავალდებულოდ შესასრულებელი სახელმძღვანელო დოკუმენტია ორგანიზაციის ყველა პოზიციაზე მომუშავე, მმართველობითი ორგანოების თუ ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისთვის. მისი ხელმისაწვდომობა ორგანიზაციაში უზრუნველყოფილია ორგანიზაციის დირექტორის მიერ. კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსთან, მისგან გადახვევის შემთხვევაში მასში აღნიშნულია შესაბამისი მითითება განსხვავებული ნორმის ორგანიზაციის წესდებაში, სხვა კორპორაციულ დოკუმენტებში ასახვასთან დაკავშირებული გეგმის და თარიღის მითითებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ (შემდგომში “კორპორაციული მართვის კოდექსი”) შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ კორპორაციული მართვის შესაბამისობის მიზნით შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ 2024 წლის 27 დეკემბერის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიიღო წესდების ახალი რედაქცია (შემდგომში „**წესდების ახალი რედაქცია**“, თან ახლავს ამონაწერს, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024). მასში აისახა ყველა ის ცვლილება, რომელი მოცემულია ორგანიზაციის “კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში“ და რომელიც დაიგეგმა „კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის მიზნით;

კორპორაციული მართვის კოდექსის ზოგად დებულებებთან შესაბამისობის ანგარიშგება

- **სამეთვალყურეო საბჭო**

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს 2022 წლის 24 ოქტომბრის პარტნიორის კრების გადაწყვეტილებით შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო (*ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22134264, 26/10/2022*). 2024 წლის 27 დეკემბრის პარტნიორთა გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს ახლებურად ჩამოყალიბდა (*ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024*)

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია ორგანიზაციის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო დამტკიცდა სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვა და სხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება დაევა ორგანიზაციის დირექტორს. 2022 წლის 24 ოქტომბერს პარტნიორთა კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის **წესდება** ახალი რედაქციით, რომელმაც მკაფიოდ განსაზღვრა საზოგადოების მართვის საკითხები, მკაფიოდ გამიჯნა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ფუნქციები, მმართველი ორგანოების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების წესი. ხოლო მოგვიანებით, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N:172/04 –ით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ შესაბამისობის მიზნით, 2022 წლის 22 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N 2–ის საფუძველზე, 2024 წლის 27 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ მიიღო წესდების ახალი რედაქცია.

- ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოდგენილია, როგორც „კარი II“ ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი *“Code of Conduct and Ethics”* გაიდლაინების შესაბამისად, რომელიც ადგენს რა ქცევის მაღალ სტანდარტებს, წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისთვის და მმართველი ორგანოს წევრებისთვის
- ორგანიზაციამ შეიმუშავა ორგანიზაციის მდგრადი განვითარების სტრატეგია ენერგეტიკის სფეროში რომელიც შეტანილია, როგორც „კარი III“ ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში აღნიშნული კარში მოცემულია ორგანიზაციის, როგორც საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე ერთ–ერთი წამყვანი ორგანიზაციული სუბიექტის ხედვები, პრიორიტეტები, გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები. სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად და მის კვალდაკვალ.
- ორგანიზაციამ შეიმუშავა ორგანიზაციის გარემოსდაცვითი და სოციალური მმართველობის სტრატეგია, რომელიც შეტანილია, როგორც „კარი IV“ ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში. მასში შეყვანილია ორგანიზაციის მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი ღონისძიებები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია თანამშრომლებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად.
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობები, შიდა კონტროლის მექანიზმი, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურები. აღნიშნული „ორგანიზაციის

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში წარმოადგენს „კარი IV“ – ის შემადგენელ ნაწილს.

- სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილია აუდიტის კომიტეტი.

აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და ანგარიშვალდებულება დეტალურად არის გაწერილი ორგანიზაციის წესდებაში. აუდიტის კომიტეტის დებულება დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. დებულება მოიცავს კომიტეტის საქმიანობის მიმართულებებს და პროცედურებს მათ შორის კომიტეტის სამეთვალყურეო საბჭოსთან ანგარიშგების პროცედურებს.

- შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებაში, (სხდომის ოქმი N2) რომლითაც დამტკიცდა კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო ხაზი გაესვა: (ა) ორგანიზაციის მმართველი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებას ნებისმიერ პრობლემურ საკითხზე სამეთვალყურეო საბჭოსათვის მიმართვასთან დაკავშირებით, აღნიშნული ცნობის ვალდებულება დაევა ორგანიზაციის დირექტორს; (ბ) ორგანიზაციის წესდების, ეთიკის კოდექსის და კომიტეტთა დებულების პერიოდულად განახლების ვალდებულების საკითხი კორპორაციული მართვის სისტემის კორპორატიული მართვის კოდექსთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით. სამეთვალყურეო საბჭოს ზემოთქმული მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველყოფა დაევა ორგანიზაციის დირექტორს.

კორპორაციული მართვის კოდექსის ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგება

ორგანიზაციამ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც წარმოადგენილია, როგორც „კარი II“ ,ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი „Code of Conduct and Ethics“ გაიდლაინების შესაბამისად, რომელიც ადგენს რა ქცევის მაღალ სტანდარტებს, წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ორგანიზაციაში დასაქმებული პირებისთვის და მმართველი ორგანოს წევრებისთვის. ეთიკის კოდექსი არეგულირებს ორგანიზაციაში დასაქმებულ პირთა თუ მმართველი ორგანოს წევრთა ქცევის მთავარ პრინციპებს და საშუალებებს კორუფციის, ფულის გათეთრების და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული ეფუძნება პირთა კეთილსინდისიერების პრინციპებს, მოქმედებას ორგანიზაციის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ინფორმაციაზე და შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ფაქტზე ინფორმაციის გამჟღავნების მექანიზმებს წყაროს კონფიდენციალურობის დაცვით (ე.წ. შემუშავებულია „ანონიმური მხილების ეფექტური სისტემა“), სისტემის გამჭვირვალობას და მიღებულ ინფორმაციაზე დროულად რეაგირების მექანიზმებს. სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ორგანიზაციაში შექმნილია იურიდიული დეპარტამენტი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკის სფეროში საქართველოში მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის, აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებთან ორგანიზაციის შიდა კორპორატიული სისტემის შესაბამისობის გადახედვას და აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი წინადადებების მომზადებას. საწარმოში ეთიკის კოდექსის შემუშავებასა და მისი სათანადო აღსრულების საკითხებზე მონიტორინგს ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო

კორპორაციული მართვის კოდექსის სამეთვალყურეო საბჭოს როლთან და პასუხისმგებლობასთან შესაბამისობის ანგარიშგება

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს 2022 წლის 24 ოქტომბრის პარტნიორის კრების გადაწყვეტილებით შექმნა სამეთვალყურეო საბჭო და დაამტკიცა წესდება ახალი რედაქციით (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის

რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B22134264, 26/10/2022)). უფრო მოგვიანებით, 2024 წლის 27 დეკემბრის საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიცვალა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა (ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B24166902, 31/12/2024) და მიღებული წესდების ახალი რედაქციით დაზუსტდა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციები, პასუხისმგებლობა, გადაწყვეტილებების მიღების წესი, რომელიც გაწერილია საზოგადოების წესდებით. წესდების მე-6 მუხლში აღნიშნულია, რომ:

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების საქმეებს უნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე მეტად ხელსაყრელია საზოგადოებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო.

წესდების მე-7 მუხლის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციება:

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა; ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა; ორგანიზაციის სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა; ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება; საზოგადოების საბუღალტრო საქმიანობის შემოწმება; საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაციის, ასევე ქონებრივი ობიექტების, კერძოდ საზოგადოების საღარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობის კონტროლი და შემოწმება, სამეთვალყურეო საბჭოს ცალკეული წევრების ან განსაზღვრული ექსპერტების მეშვეობით. ორგანიზაციის წლიური ბიუჯეტის შესახებ რეკომენდაციების საერთო კრებისთვის წარდგენა ორგანიზაციის დივიდენდის განაწილების შესახებ საერთო კრებისთვის რეკომენდაციების წარდგენა. საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება. ასევე ემისიის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება. აუდიტის კომიტეტის შექმნის/გაუქმების, ასევე აუდიტის კომიტეტის წევრების/თავმჯდომარის დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, აუდიტის კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, აუდიტის კომიტეტისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა და მისი საქმიანობის კონტროლი.

წესდებაზე დამატებით, სამეთვალყურეო საბჭოს როლი და პასუხისმგებლობა განისაზღვრა ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში, როგორც „კარი V“. აღნიშნულის მიხედვით, წესდებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად: საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელნი არიან:

- განსაზღვრონ საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა მათ შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები იმგვარად, რომ უზრუნველყონ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი .
- განსაზღვრონ საწარმოს ეთიკის პრინციპები; – მოახდინოდ მუდმივი მონიტორინგი საწარმოს კორპორაციული მართვის “კორპორაციული მართვის კოდექსთან” შესაბამისობის კუთხით. – დაამტკიცონ საწარმოს ყოველწლიური ბიუჯეტი – მონიტორინგი გაუწიონ დირექტორის საქმიანობას და შეაფასონ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობა. მონიტორინგი გაუწიონ საწარმოში

შრომის ანაზღაურების სისტემის გამართულ მუშაობას ; ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, სამეთვალყურეო საბჭო, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ უნდა მართავდეს სხდომებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევებში, ზრდიდეს სხდომების სიხშირეს **ცვლილება აისახა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით**

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება

დღეს-დღეობით ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობას წარმოადგენენ პირები, რომელთაც გააჩნია მმართველობის დიდი გამოცდილება, შესაბამისი კვალიფიკაცია და უნარები სწარმოს ეფექტური საქმიანობის წარმართვის მიზნით.

კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვერ ასრულებს დაკისრებულ ფუნქციებს ან აღარ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, მოითხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის შეცვლა, მაგრამ, ერთდროულად, არაუმეტეს საბჭოს წევრთა ერთი მესამედისა და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია, *(აღნიშნული ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს V კარში, ასევე აისახა ორგანიზაციის წესდებაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით.* სამეთვალყურეო საბჭო დღეს შედგება 6 (ექვსი) წევრისგან. მათგან ორი წევრი არის შესაბამისი გამოცდილების, მაღალი კვალიფიკაციის დამოუკიდებელი წევრი, მათ გააჩნიათ ფინანსური ანაგარიშგების ანალიზის სრულყოფილი უნარი. **სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის რაოდენობის ცვლილება, დამოუკიდებელ წევრთა რაოდენობა გაიზარდა და აისახა ორგანიზაციის წესდებაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით.** კორპორაციული მართვის კოდექსის V კარში და ორგანიზაციის წესდებაში აღნიშნულია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს წევრი. აღნიშნული ჩანაწერი სრულ შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან, რომელშიც აღნიშნულია, რომ “*საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იმავდროულად არ შეიძლება იყოს ამ საზოგადოების დირექტორი.*”

კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს V კარში აღნიშნულია, რომ ორგანიზაციაში საერთო კრებამ უნდა უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს იმგვარად დაკომპლექტება, რომ დაცული იყოს მოსაზრებათა მრავალფეროვნების ბალანსი. აღნიშნული გულისხმობს საბჭოს განსხვავებული სქესის, უნარ-ჩვევების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებით დაკომპლექტებას, რომლებსაც გააჩნიათ თავიანთი ფუნქციების შესრულებისთვის აუცილებელი დრო, რესურსი, სათანადო კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება, შესაბამისი კომპეტენცია და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. სამეთვალყურეო საბჭოში სქესთა ბალანსის მოთხოვნებთან შესაბამისობა დაგეგმილია სამომავლოდ. სამეთვალყურეო საბჭოს შერჩევის კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის სათანადო პოლიტიკა და პროცედურები მოცემულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს VI კარში.

ორგანიზაციის წესდების მიხედვით, სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს ეფექტიან ფუნქციონირებაზე, მათ შორის, საბჭოს წევრებს შორის ნდობისა და კოლეგიალური ურთიერთობის კოორდინაციასა და ეფექტიან თანამშრომლობაზე.

შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“-ს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი N2 – ით 2024 წლის 27 დეკემბერს, სამეთვალყურეო საბჭოს ახალმა შემადგენლობამისი შემადგენლობიდან აირჩია სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე. თუ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოაჩენს, რომ აქვს ან/და შესაძლოა, ჰქონდეს კანონმდებლობით დადგენილი ინტერესთა კონფლიქტი, მისი მოადგილე პასუხისმგებელია არსებული და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის არიდებასა და გამორიცხვაზე. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე აღასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებებს, მიუხედავად აღნიშნულისა, კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ფასიანი ქაღალდების ინვესტირებთან დაკავშირებით მისაღები საბოლოო გადაწყვეტილებები, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ობლიგაციონერების ინტერესებზე, მათი ინტერესების დაცვის მიზნით საჭიროებდეს დამოუკიდებელი წევრის თანხმობას. ***აისახა ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით და ის ასახულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს V კარში.***

კორპორაციული მართვის კოდექსის სამეთვალყურეო საბჭოს კომიტეტებთან შესაბამისობის ანგარიშგება

კორპორატიული მართვის შიდა სახელმძღვანელოს “კარი VII” ადგენს საჭიროებიდან გამომდინარე ორგანიზაციაში კომიტეტების შექმნის სქემას. კორპორატიული მართვის შიდა კოდექსის მიხედვით: შესაძლებელია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეიქმნას სხვა ფუნქციების მქონე კომიტეტი, მათ შორის რისკების მართვის, ანაზღაურების, მდგრადი განვითარების კომიტეტები და სხვა. კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში მოცემულია კომიტეტთა შექმნის წესი: კომიტეტის შექმნის ინიცირება ხორციელდება დირექტორს მიერ და მას ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო გონივრული პერიოდულობით უნდა ცვლიდეს კომიტეტის თავმჯდომარესა და წევრთა შემადგენლობას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომიტეტის საქმიანობაში ახალი ხედვებისა და მიმართულებების წახალისება. კომიტეტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებსა და განხილვების შედეგებზე უნდა იწარმოებოდეს შესაბამისი ჩანაწერები, შესაძლებლობის შემთხვევაში კორპორაციული მდივნის მიერ. კომიტეტები გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების თაობაზე ანგარიშს რეგულარულად უნდა წარადგენდნენ სამეთვალყურეო საბჭოსთან. კომიტეტი მინიმუმ 3 ან სიდიდიდან გამომდინარე 2 (ორი) წევრისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი. კომიტეტების შეხვედრები წინ უნდა უძღოდეს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებს. სხვა შემთხვევაში ისინი უნდა იკრიბებოდნენ წელიწადში მინიმუმ ორჯერ, ასევე, ნებისმიერ დროს აუცილებლობის შემთხვევაში. ***კომიტეტთა შექმნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება, მათ შორის კომიტეტის დებულების დამტკიცება როგორც სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია, ასევე შეზღუდვა, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ერთდროულად არ უნდა იყოს ორზე მეტი კომიტეტის წევრი, კომიტეტის წევრების მინიმალური ოდენობა აისახა ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით.*** დღესდღეობით სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სხვა ფუნქციებთან ერთად ხორციელდება რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა, ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკის განსაზღვრა, ორგანიზაციის სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა, ფინანსური დაგეგმარების და ანგარიშგების საერთო სტანდარტების დამტკიცება;

სამეთვალყურეო საბჭოს და აუდიტის კომიტეტს შორის არსებობს ეფექტური კომუნიკაცია და კოორდინაცია, რაც, მათ შორის, მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ყველა სახის რისკის გათვალისწინებას, მათ შორის, ახლად გამოვლენილი რისკებისა და ასევე ნებისმიერი სახის საჭირო შესწორებების შეტანას საწარმოს რისკის მართვის ჩარჩოში.

სამეთვალყურეო საბჭოს სრული წვდომა აქვს როგორც დირექტორთა საბჭოს, რისკებისა და ფინანსური კონტროლის პერსონალთან, ასევე, სხვა შიდა და გარე მხარეებთან.

სამეთვალყურეო საბჭო ხელს უწყობს ორგანიზაციის ანაზღაურების სისტემის ფუნქციონირებას, აგრეთვე ანაზღაურების სისტემის შესაბამისობას მის კულტურასთან, გრძელვადიან ბიზნესს და რისკის მართვის ჩარჩოსთან, კომპანიის საქმიანობასთან და კონტროლის გარემოსთან ისევე, როგორც კანონმდებლობის /საზედამხედველო მოთხოვნებთან.

სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფილია უნარებისა და გამოცდილების ფართო სპექტრი და აღნიშნული გათვალისწინებული იქნება სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრის შერჩევის თითოეულ შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურ აფასებს საბჭოს სტრუქტურას, ზომას და შემადგენლობას, ასევე აუდიტის კომიტეტის სტრუქტურას და კოორდინაციას, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობას კანონმდებლობისა და კომპანიის შიდა წესების მოთხოვნებთან, აგრეთვე საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობას.

რისკების კომიტეტის, ანაზღაურების კომიტეტის, კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის ფუნქციები მათი შექმნის შემთხვევაში მოცემულია კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის “კარი VII”-ში ქვეთავებად.

კორპორაციული მართვის კოდექსის აუდიტის კომიტეტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგება

2022 წლის 24 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N1) შეიქმნა აუდიტის კომიტეტი, აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა ახლებურად ჩამოყალიბდა 2024 წლის 27 დეკემბრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით (ოქმი N2) აუდიტის კომიტეტის შექმნის ვალდებულება განისაზღვრა ორგანიზაციის წესდებით. აუდიტის კომიტეტის მნიშვნელოვანი ფუნქციები მოცემულია ორგანიზაციის წესდებაში, რომლის მიხედვით აუდიტის კომიტეტის უფლებამოსილია: განსაზღვროს შიდა აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და კონტროლის შესაბამისი წესები და განახორციელოს მათი დაცვის ზედამხედველობა; გააკონტროლოს საზოგადოების ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა; უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობა; შიდა აუდიტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა; წარმართოს გარე აუდიტთან ურთიერთობა. წესდების ახალი რედაქციით ორგანიზაციის აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან (საწარმოს სიდიდის გათვალისწინებით), მისი თავმჯდომარე არის „დამოუკიდებელი წევრი“, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და კვალიფიკაცია და რომელიც აკმაყოფილებს კორპორაციული მართვის კოდექსის მე-16 მუხლის მოთხოვნებს. აუდიტის შემადგენლობა სრულ შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან, წესდების ახალი რედაქციით (მუხლი 9.10) აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ, იმავედროულად, არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან/და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. აისახა ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

წესდებაში განსაზღვრულთან ერთად, აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები მოცემულია მის დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით და ის სრულ შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნებთან, კერძოდ დებულების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი აუდიტის კომიტეტი სხვა ფუნქციებთან ერთად პასუხისმგებელია:

- ა) განსაზღვროს შიდა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების პოლიტიკა;

- ბ) მონიტორინგი გაუწიოს ფინანსური და არაფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესებს;
- გ) მონიტორინგი გაუწიოს და აქტიურად ითანამშრომლოს საწარმოს შიდა და გარე აუდიტორებთან;
- დ) შეაფასოს გარე აუდიტორის ეფექტიანობა, გამოთქვას მოსაზრება გარე აუდიტორთან კანდიდატურებთან დაკავშირებით, წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები სამეთვალყურეო საბჭოს ან აქციონერებს/პარტნიორებს მათ კანდიდატურებთან, დანიშვნასთან, ანაზღაურებასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით;
- ე) შეაფასოს შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა;
- ვ) უზრუნველყოს შიდა და გარე აუდიტორების ფუნქციების ადეკვატურობა, დამოუკიდებლობა და ეფექტური ურთიერთთანამშრომლობა;
- ზ) განიხილოს გარე აუდიტორის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო წერილი და მონიტორინგი გაუწიოს დირექტორთა საბჭოს მიერ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შესაბამის ზომების გატარებას;
- თ) განიხილოს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს ჩასატარებელი შიდა აუდიტის ფარგლები და ჩატარების სიხშირე;
- ი) მიიღოს შიდა აუდიტის ანგარიშგებები და უზრუნველყოს საწარმოს დირექტორატის მხრიდან სათანადო ღონისძიებების დროულად გატარება აუდიტის პროცესში ან კონტროლის სხვა ფუნქციების მიერ იდენტიფიცირებული კონტროლის სისუსტეების, კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან სხვა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;
- კ) მონიტორინგი გაუწიოს საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ლ) განიხილოს საწარმოს რისკების მართვის მთლიანი ჩარჩო და შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობა და სტრუქტურა, მათ შორის, განიხილოს მესამე პირთა მოსაზრებები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

კორპორაციული მართვის კოდექსის სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების შესაბამისობის ანგარიშგება

სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია ორგანიზაციის მმართველობის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულებისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობები, შიდა კონტროლის მექანიზმი, რისკების ეფექტიანი იდენტიფიცირების, მართვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესები, ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები. აღნიშნული ორგანიზაციის კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოში წარმოადგენს „კარი IV“ – ის შემადგენელ ნაწილს. ამავე კარში მოცემულია „შეფასების და თვითშეფასების შესაბამისი წესი“, აღნიშნულის მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ყოველწლიურ შეფასება ექვემდებარე საბჭოს სტრუქტურა, ზომა და შემადგენლობა, ასევე სამეთვალყურეო საბჭოსთან შექმნილი კომიტეტების სტრუქტურა და კოორდინაცია, საბჭოს თითოეული წევრის შესაბამისობა კანონმდებლობისა და საწარმოს შიდა წესების მოთხოვნებთან, ასევე, შეფასებული უნდა იქნეს საბჭოს შიდა მმართველობითი პრაქტიკებისა და პროცედურების ეფექტურობა.

კორპორაციული მართვის კოდექსის დირექტორთა საბჭოს და დირექტორთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგება

ორგანიზაციის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს დირექტორი, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციას ერთპიროვნულად.

დირექტორი სხვა ფუნქციებთან ერთად, ადასრულებს ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიებს, სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად შექმნილი აქვს ფინანსური და არაფინანსური რისკების, მათ შორის

მდგრადი განვითარების, გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ეფექტური სისტემები, რისკის კულტურა, აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას. აღნიშნული, მათ შორის, მოიცავს იმ ინფორმაციას, რაც საჭიროა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორთა საბჭოს საქმიანობის შეფასებისა და ზედამხედველობის ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია კომპანიის მნიშვნელოვან საკითხებსა და პრობლემებზე. კომპანიის დირექტორი ასევე პასუხისმგებელია კომპანიის თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების სწორად გადანაწილებასა და ეფექტური მმართველობის სტრუქტურის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის შიგნით ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას.

კომპანიის დირექტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საწარმოს წესდებით.

ორგანიზაციის დირექტორს გააჩნია საჭირო გამოცდილება, კომპეტენცია და რესურსები, აგრეთვე სათანადო კვალიფიკაცია და უნარები. ორგანიზაციის დირექტორისადმი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პროფესიული გამოცდილების მოთხოვნები მოცემულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს VIII კარში.,

კომპანიის დირექტორი პასუხისმგებელია საწარმოს შიდა ოპერაციებზე, ორგანიზაციის წესდების ახალ რედაქციაში აისახა, რომ დირექტორის დანიშვნაზე გადაწყვეტილებს იღებს სამეთვალყურეო საბჭო, ასევე წესდების მიხედვით საზოგადოების ს სტრუქტურა დირექტორმა უნდა წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს. ცვლილება აისახა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით

კორპორაციული მართვის კოდექსის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის ფუნქციებთან შესაბამისობის ანგარიშგება

ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრებს საქმიანობის განხორციელებისას აქვთ ობიექტური და დამოუკიდებელი ან სხვა გარე მხარის გავლენის/პოტენციური გავლენის გარეშე გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრის დამოუკიდებლობის კრიტერიუმები აღწერილია კორპორაციული მართვის კოდექსის IX კარში;

კორპორაციული მართვის კოდექსის კორპორაციული მდივნის ფუნქციებთან შესაბამისობის ანგარიშგება

კორპორაციული მდივნის ფუნქციები დეტალურად აღწერილია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს “კარი X” -ში, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის კოდექსის მე-17 მუხლის მოთხოვნებთან, ამავე კარში მოცემულია, რომ კორპორაციული მდივნის ფუნქციები დღეს შეთავსებული აქვს ორგანიზაციის იურისტს, კერძოდ:

ა) ეხმარება საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოს (კომიტეტის ჩათვლით) და დირექტორთა საბჭოს თავიანთი საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს კორპორაციულ დოკუმენტაციასთან და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებულ რჩევებს;

გ) მჭიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოსთან მათი სხდომის დღის წესრიგის შედგენისა და დაგზავნის, სხდომის ორგანიზებისა და ჩატარების, აგრეთვე, შეტყობინებების დაგზავნის საკითხებში;

დ) გეგმავს საჭირო ტრენინგებს და მოსამზადებელ საორიენტაციო შეხვედრებს უკვე მომუშავე თუ ახლად დანიშნულ/არჩეულ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს წევრებისათვის;

ე) აწარმოებს და ინახავს ყველა კორპორაციულ დოკუმენტს, ოქმი თუ სხვა საჭირო საბუთს და ინფორმაციას მინიმუმ 6 წლის ვადით;

ვ) ახორციელებს დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას პარტნიორებს, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს შორის;

ზ) ორგანიზებას უკეთებს პარტნიორთა საერთო კრების ჩატარებას, რიგგარეშე კრების მოწვევას და უზრუნველყოფს ყველა საჭირო ვადებისა და პროცედურების დაცვას კრების ჩასატარებლად. უზრუნველყოფს, რომ კრების ოფიციალური მოწვევის განმახორციელებელ პირს მიეწოდოს სრული ინფორმაცია იმ საკითხების შესახებ, რომელთა დღის წესრიგში შეტანა, კანონმდებლობის და წესდების დაცვით, მოთხოვნილ იქნა აქციონერთა/პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოსა თუ დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ;

თ) უზრუნველყოფს მარეგულირებელი/ზედამხედველი ორგანოების მიერ მიღებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო და ასევე, საწარმოს მიერ მიღებული კორპორაციული მართვის კოდექსით გათვალისწინებულ პრინციპებთან შესაბამისობას;

ი) ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების, აგრეთვე პარტნიორთა საერთო კრების მდივნის ფუნქციას და აწარმოებს ოქმებს.

კორპორაციული მდივანის ფუნქციების განმახორციელებელი პირი ახორციელებს საწარმოს მმართველი ორგანოს, პარტნიორებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმაციულ და ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. კორპორაციული მდივანის ფუნქციების შესრულების დროს, აღნიშნული პირი ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. *კორპორაციული მდივნის დანიშვნა, შრომის ხელშეკრულების პირობების განსაზღვრა რომ არის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია, ასახული იქნება წესდების ახალ რედაქციაში, კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით სამეთვალყურეო საბჭოს დეტალურად აქვს განსაზღვრული კორპორაციული მდივნის ფუნქციების განმახორციელებელი პირის უფლებები და ვალდებულებები, ფუნქციების ჩამონათვალი, საჭირო განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ მოთხოვნები (კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო – კარი X)*

კორპორაციული მდივანის ფუნქციების განმახორციელებელი პირი არ არის ორგანიზაციის მმართველი ორგანოს წევრი და არ აქვს მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება, **კორპორაციული მართვის კოდექსის ჯგუფის კორპორაციული მართვის შესაბამისობის ანგარიშგება**

ორგანიზაციას აქვს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს “ენერჯი თრეიდინგ გრუპი“, 55 % წილობრივი მონაწილეობით. ორგანიზაციაში გადაწყვეტილებები მიიღება მონაწილეთა ხმების 55% – ით, თუ „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება; კორპორაციული მართვის კოდექსის XI კარი არეგულირებს შვილობილი საწარმოს საქმიანობის კონტროლის მექანიზმებს, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კორპორაციული მართვის სახელმძღვანელოს 18-ე მუხლის მოთხოვნებთან.

კორპორაციული მართვის კოდექსის რისკების მართვის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგება

ორგანიზაციის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების დამტკიცება და მათი ეფექტური ფუნქციონირების ზედამხედველობა ორგანიზაციის წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენს. რისკების მართვის ჩარჩო, რომელიც აღწერს რისკის მართვის და შიდა

კონტროლის სიტემას აღწერილია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში – „კარი XII რისკის მართვის ჩარჩო.“ რისკის მართვის ჩარჩო დამტკიცებულია ასევე ორგანიზაციის შვილობილ კომპანიაშიც. აღნიშნულის მიხედვით რისკების შეფასებას და მათი რისკების მართვის პროცესს, შერწყმისა და მნიშვნელოვანი წილის შემენის ტრანზაქციებს ან სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც ეცნობება პარტნიორი ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭოს. შესაბამისად ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო სრულად არის ინფორმირებული იმ არსებული რისკების და საკითხების შესახებ, რომელსაც შესაძლოა გარკვეული გავლენა ჰქონდეს მასზე და/ან მის შვილობილ კომპანიაზე. სამეთვალყურეო საბჭო რეგულარულად განიხილავს საწარმოს ძირითად პოლიტიკებსა და კონტროლის მექანიზმებს დირექტორთან და შიდა აუდიტის სამსახურის უფროსებთან ერთად იმ მიზნით, რომ გამოავლინოს და მათთან ერთად განიხილოს მნიშვნელოვანი რისკები, საკითხები და საჭიროებები.

კორპორაციული მართვის კოდექსის შიდა კონტროლის და აუდიტის მოთხოვნებთან შესაბამისობის ანგარიშგება

შიდა აუდიტის კომიტეტის შექმნის/გაუქმების, ასევე აუდიტის კომიტეტის წევრების/თავმჯდომარის დანიშვნის/გადაყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, აუდიტის კომიტეტის წევრთა რაოდენობის განსაზღვრა, აუდიტის კომიტეტისთვის შესაბამისი დავალებების მიცემა და მისი საქმიანობის კონტროლი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას. შიდა კონტროლის და აუდიტის სისტემა მოცემულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოში – „კარი XII“-- ში. რისკების ეფექტური მართვის ფუნქციის მიზნებისთვის, კომპანიაში დანერგილია ჯანსაღი შიდა კონტროლის სისტემები. ამ მიზნით: უზრუნველყოფილია: შიდა აუდიტის სრული წვდომა საწარმოში არსებულ ინფორმაციასთან, ჩანაწერებთან, ოქმებთან და სხვა მონაცემებთან; დირექტორის მხრიდან აუდიტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გათვალისწინებასა.

კორპორაციული მართვის კოდექსის ანაზღაურების პოლიტიკასთან შესაბამისობის ანგარიშგება

ორგანიზაციის წესდების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს მმართველი ორგანოს ანაზღაურების ოდენობისა და სტრუქტურის დამტკიცებაზე პასუხისმგებელია საერთო კრება. **ცვლილება გაკეთდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით** ორგანიზაციის დოკუმენტურად აქვს განსაზღვრული ანაზღაურების პოლიტიკა, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს საქმიანობის შესაბამის ზომებს, ანაზღაურების ფორმებსა და მათ კომბინაციებს, მათ შორის, ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების ფორმებს, ბონუსური სისტემის ელემენტებს და ასევე გადახდების გრაფიკებისა და პერიოდულობის საკითხებს. ანაზღაურების პოლიტიკასა და პროცედურები. აღნიშნული „ორგანიზაციის კორპორაციული მართვის შიდა კოდექსში“ წარმოადგენს „კარი IV“ – ის შემადგენელ ნაწილს. ანაზღაურების თაობაზე მომზადებულია მმართველი ორგანოს ანგარიში, დირექტორის ანაზღაურების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების მონიტორინგზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც თავად სულ მცირე, ყოველწლიურად გადახედავს ანაზღაურების გეგმებს, პროცესებსა და შედეგებს. სამეთვალყურეო საბჭო, ანაზღაურების კომიტეტთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ამტკიცებს, შიდა აუდიტის, კორპორაციული მდივნისა და, არსებობის შემთხვევაში, სხვა კომიტეტების ანაზღაურების პოლიტიკას, ოდენობას და ამასთან, მონიტორინგს უწევს ანაზღაურების პოლიტიკების, სისტემისა და დაკავშირებული კონტროლის პროცესების ეფექტურ ფუნქციონირებას. **ცვლილება გაკეთდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით** ორგანიზაციის ანაზღაურების პოლიტიკა შედგება შემდეგი ძირითადი კომპონენტებისგან: – ანაზღაურების ფიქსირებული და ცვალებადი კომპონენტები და დაწესებული მაქსიმალური ზღვარი; – მმართველი ორგანოს წევრების საქმიანობის ეფექტურობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. კავშირს ანაზღაურებასა და საქმიანობის ეფექტურობას შორის, სხვა არაფულადი ანაზღაურებები.

კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით დაინტერესებულ მხარეთა უფლებებთან შესაბამისობის ანგარიშგება

აქციონერთა/პარტნიორთა/ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები, მათი ეფექტური კომუნიკაცია დეტალურად არის მოცემული კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის XIII კარში. ორგანიზაცია ახორციელებს თანაბარ მოპყრობას ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების პირობები და მათი ცვლილებები გასაჯაროებულია ემიტენტისთვის საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, რომელშიც შეტანილია ყველა ის პირობა, რომლის შესრულების ვალდებულება აქვს როგორც მმართველობითი ორგანოს წევრებს, ორგანიზაციაში ყველა დასაქმებულს. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსი შედგენილია კორპორაციული კოდექსის შესაბამისად. კოდექსში მითითებულია ყველა შესაბამისი განმარტება, რომელიც უნდა აისახოს ორგანიზაციის კორპორაციულ დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში მოგვიანებით. უზრუნველყოფილი იქნება კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს გამჭვირვალობა პარტნიორთა მიერ შესაბამისი მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. კომპანიის პარტნიორს შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორისაგან მოითხოვოს საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას პარტნიორებთან, ამასთან ხელს უწყობს პარტნიორის აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში. **ცვლილება გაკეთდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით** რომლის მიხედვითაც საერთო კრებას უხელმძღვანელებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო კრების ოქმების გასაჯაროება განხორციელდება ორგანიზაციის მიერ. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV თავში მოცემულია დაინტერესებულ მხარეთათვის ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა, ვებ-გვერდი, რომელიც აღნიშნული გამჭვირვალობის მექანიზმია პერიოდულად ექვემდებარება ტექნიკურ მხარდაჭერას და განახლებას, დაინტერესებულ პირებს აქვთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, ვებ-გვერდზე მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რათა დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით.

2025 წლის 28 თებერვალი

გიორგი შუკაკიძე

დირექტორი

კორპორაციული მართვის კოდექსის მიხედვით დაინტერესებულ მხარეთა უფლებებთან შესაბამისობის ანგარიშგება

აქციონერთა/პარტნიორთა/ დაინტერესებულ მხარეთა უფლებები, მათი ეფექტური კომუნიკაცია დეტალურად არის მოცემული კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის XIII კარში. ორგანიზაცია ახორციელებს თანაბარ მოპყრობას ფასიანი ქაღალდების ყველა მფლობელის მიმართ, რომლებიც თანაბარ პირობებში იმყოფებიან. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების პირობები და მათი ცვლილებები გასაჯაროებულია ემიტენტისთვის საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესების და პროცედურების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულია კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელო, რომელშიც შეტანილია ყველა ის პირობა, რომლის შესრულების ვალდებულება აქვს როგორც მმართველობითი ორგანოს წევრებს, ორგანიზაციაში ყველა დასაქმებულს. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსი შედგენილია კორპორაციული კოდექსის შესაბამისად. კოდექსში მითითებულია ყველა შესაბამისი განმარტება, რომელიც უნდა აისახოს ორგანიზაციის კორპორაციულ დოკუმენტებში, მათ შორის წესდებაში მოგვიანებით. უზრუნველყოფილი იქნება კორპორაციული მართვის შიდა სახელმძღვანელოს გამჭვირვალობა პარტნიორთა მიერ შესაბამისი მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით. კომპანიის პარტნიორს შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორისაგან მოითხოვოს საჭირო ინფორმაციის მიღება, ასევე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით უზრუნველყოფს ეფექტურ და სამართლიან ურთიერთობას პარტნიორებთან, ამასთან ხელს უწყობს პარტნიორის აქტიურ მონაწილეობას საერთო კრების მუშაობაში. **ცვლილება გაკეთდა წესდების ახალ რედაქციაში კორპორაციულ მართვის კოდექსთან შესაბამისობის მიზნით** რომლის მიხედვითაც საერთო კრებას უხელმძღვანელებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო კრების ოქმების გასაჯაროება განხორციელდება ორგანიზაციის მიერ. კორპორაციული მართვის შიდა კოდექსის IV თავში მოცემულია დაინტერესებულ მხარეთათვის ინფორმაციის გამჟღავნების პოლიტიკა, ვებ-გვერდი, რომელიც აღნიშნული გამჭვირვალობის მექანიზმია პერიოდულად ექვემდებარება ტექნიკურ მხარდაჭერას და განახლებას, დაინტერესებულ პირებს აქვთ წვდომა საწარმოს ფინანსურ და სხვა სახის ინფორმაციაზე, ვებ-გვერდზე მოცემულია საკონტაქტო ინფორმაცია, რათა დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ თავისუფლად გამოთქვან თავიანთი მოსაზრება საწარმოში არსებულ არაკანონიერ ან არაეთიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებით.

2025 წლის 28 თებერვალი

გეორგი შუკაკიძე

დირექტორი



N01 – 28/02/2025

2025 წლის 28 თებერვალი


შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“

პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3 (გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2023 წლის 22 ივნისს შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404485188, შემდეგში „ემიტენტი“) მიერ 10 (ათი) მილიონი აშშ დოლარის არაუზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ობლიგაციების (საერთაშორისო ნომერი ISIN, GE 2700604459) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულებების ფარგლებში მომზადებული აუდირებული წლიური ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.


გიორგი შუკაკიძე

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“
დირექტორი**



მინდია საბანაძე

**შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე**



RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99
Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

28 თებერვალი, 2025

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების - N:172/04 მიხედვით, საწარმო (შპს ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია - 404485188) ვალდებულია შეავსოს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს დანართი N1-N3-ით განსაზღვრული კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში, რომელიც თან ერთვის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის გამოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.


ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

ალი მურტუზა

28 თებერვალი, 2025

SARAS-A-577214

Rsm Georgia


RSM Georgia

85, Z. Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T: +995 (32) 255 88 99

Email: mail@rsm.ge

www.rsm.ge

28 February, 2025

According to the order of President of National Bank of Georgia – N:172/04, the company (LLC Energy Development Georgia – 404485188) is obliged to prepare and present “CORPORATE GOVERNANCE CODE FOR ISSUERS OF PUBLIC SECURITIES”.

Which is enclosed to the audited financial statements for the year ended 31 December 2024.

Our opinion on the financial statements does not cover the above-mentioned information and we do not express any form of assurance conclusion thereon.


LLC „RSM Georgia“

Ali Murtza

Engagement Partner

28 February, 2025

SARAS-A-577214

Rsm Georgia


დანართი 1. განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ

	საქართველოს ეროვნული ბანკი National Bank of Georgia
განაცხადი კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშის წარდგენის შესახებ	
Application on submitting Corporate Governance Compliance Report	
თარიღი (დღე/თვე/წელი)/Date (DD/MM/YYYY)	14 / 05 / 2025

1. ინფორმაცია გამომცემის შესახებ / INFORMATION ABOUT ISSUER

გამომცემის სახელწოდება/Issuer's Name	შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა/Legal Form	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
იურიდიული მისამართი/Legal Address	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას 70
ფაქტობრივი მისამართი/Factual Address	საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას 70
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577 080 922
ელ.ფოსტა/E-mail	giorgi@edgeorgia.ge
ვებ-გვერდი/Web Site	https://www.edgeorgia.ge/

2. დანართების ჩამონათვალი/LIST OF APPENDIXES

განაცხადის ფორმას თან ერთვის შემდეგი დანართები (ასლებისა და ფურცლების რაოდენობის მითითებით) /
Following annexes enclosed to the application (indicate number of copies and number of pages):

ერთვის შევსებული "დანართი N2" კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში – 24
ფურცლად

ერთვის შევსებული "დანართი N3" - დამატებით წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი - 1
ფურცლად


ერთვის სხდომის ოქმები – 3
ფურცლად

3. ინფორმაცია დეკლარანტის შესახებ/INFORMATION ABOUT APPLICANT PERSON

სახელი და გვარი /Name and Surname	გიორგი შუკაკიძე
დაკავებული პოზიცია/Position Held	დირექტორი
ტელეფონის ნომერი/Contact Number	577080922
ელ.ფოსტა/E-mail	giorgi@edgeorgia.ge

ხელმოწერა /Signature

გიორგი შუკაკიძე
სამეცხოველეთო საბჭოს
თავმჯდომარე – მინდია საბანაძე



თარიღი/DATE (DD/MM/YYYY)

14 / 05 / 2025

დანართი 2. კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიში

საკანონმდებლო მოთხოვნა	საკანონმდებლო მოთხოვნის აღწერა	მოთხოვნის შესრულება კი, არა, ალტერნატივა	მითითება წლიური ანგარიშში გამტავრებულ შესაბამის ინფორმაციაზე (ქვეთავი/გვ.)	შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც დამატებით განსაზღვრულია კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
კორპორაციული მართვის კოდექსი, თავი II - მმართველი ორგანო					
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 1)	საწარმოს კორპორაციული მართვის ამ კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭო. დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის სხვადასხვა პოლიტიკის ეფექტიანი შესრულება.	კი	მპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.32	სხდომების ოქმები	
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი);	ა)საწარმოს უნდა გააჩნდეს საწარმოს წესდება, რომელიც განსაზღვრავს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათ მიერ საკუთარი უფლებამოსილებების შესრულება და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების პროცესი;	კი	მპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.32	საწარმოს წესდება	2022 წლის 10 ოქტომბრის პარტნიორთა კრებამ დაამტკიცა ორგანიზაციის წესდება ახალი რედაქციით, რომელშიც მკაფიოდ განსაზღვრა საზოგადოების მართვის საკითხები, მკაფიოდ გამოიჩინა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორის ფუნქციები, მმართველი ორგანოების მიერ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების წესი. ასევე, მპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიამ“ 2024 წლის 27 დეკემბრის საერთო კრების გადაწყვეტილებით მიიღო წესდების ახალი რედაქცია, რომელშიც ასევე სრულად არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხები
კორპორაციული მართვის კოდექსი (მუხლი 3, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი)	ბ)საწარმოს უნდა გააჩნდეს ეთიკის კოდექსი, რომელიც დანერგავს თანამშრომლების და მმართველი ორგანოს წევრების ეთიკური ქცევის მაღალ სტანდარტებს.	კი	მპს "ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯიას" 2024 წლის 31 დეკემბრით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნა, თავი – მმართველობითი აგნარიშგება ქართული ვერსია გვ.32 - 40	ეთიკის კოდექსი	
